# სახალხო გაზეთი

№ 721 პარასკევი, 12 ოქტომბერი 1912 წ. № 721

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კ., უკანასკნელზე 10 კ. სხვა ადგილებიდან კავკასიის გარეშე მიღებულ განცხადებათა ფასი: სტრიქონი პეტიტით ტექსტის წინ 20 კ., უკან 10 კ. სამგლოვიარო განცხადების დაბეჭდვა პირველ გვერდზე თითო-ჯერ საღამოს 4 საათამდე ღირს 3 მ. 4 საათის შემდეგ მიიღება მხოლოდ თვით სტამბა „შრომა“-ში, მუხრანის ქუჩა, და ეღირება 4 მანეთი.

განცხადებანი იმ პირთა, ფირმათა და დაწესებულებათაგან, რომელნიც კავკასიის გარეშე არიან, ან მთავარი კანტორები და განყოფილებანი აქვთ, მიიღება მხოლოდ სავაჭრო სახლის ლ. და მ. მეტცლ და ამხ.-ბის განცხადებათა ცენტრალურ კანტორაში მოსკოვში, მიასნიცკის ქ., ს. სიტოვისა და მის განყოფილებებში: პეტერბურგში--მორსკაია 11, ვარშავაში--მარშალკოვსკის ქ. 130, პარიზში--ბირჟის მოედანი.

ხელის მოწერა და დასაბეჭდი განცხადებები მიიღება „სახალხო გაზეთი“-ს რედაქციაში და კანტორაში ყოველ-დღე კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან 3-მდე. საღამოთი 5-დან 7-მდე.

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება; დაუბეჭდავი წერილები და კორესპონდენციები სულ არ ინახება; ინახება მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. რედაქტორთან მოლაპარაკება შეიძლება ყოველ-დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ადრესის გამოცვლა 40 კაპ.

რედაქცია და კანტორა იმყოფება: ტფილისში, სასახლის ქ., სარაჯიშვილის სახ. № 6. ფოსტის ადრესი წერილებისა და ფულისთვის: ტფილისი, ქართული „სახალხო გაზეთი“ 190.

ტელეფონი № 12-29

გაზეთის ფასი წლიურ. 8 მ. 50 კ. ცალკე № ყველგან 5 კ.
„ „ თვეში — 75 კაპ. დამატებიანი 7 კ.

ყოველ-დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გამოცემა.


## კანტორისაგან

1912 წ. პრემია „გრდემლის“ მისაღებად უკანასკნელი ვადა არის მომავალ წლის 1 იანვარი, ამიტომ ვთხოვთ ყველას, ვისაც პრემია ერგება, ამ ვადამდე უსათუოდ მოიკითხონ, რადგანაც 1 იანვრის შემდეგ პრემია აღარ შეენახებათ და ყოველნაირი მიწერ-მოწერაც მიმდინარე წლის პრემიის შესახებ **უყურადღებოდ იქნება დატოვებული.**


**სახალხო გაზეთი** სურათებიანი დამატებით მიიღება ხელის მოწერა 1912 წლისათვის.

(არ მიიღება ხელის მოწერა ცალკე, უდამატებოდ და არც სურათებიანი დამატება იყიდება ცალკე).

**წელიწადში ღირს 8 მან. 50 კაპ.**

**1 ლვინობისთვიდგან წლის დამლევამდე ღირს 2 მ. და 25 კ.**

**თვეში ღირს — — 75 კაპ.**

(როგორც ქალაქში, ისე ქალაქ გარედ).
საზღვარ-გარედ თვეში ზედ-მეტი 25 კაპ.

წლ. ხელის მომწერთ (რომელთაც პრემია „გრდემლი“ ერგებათ) 8 მან. 50 კ. უნდა ჰქონდეთ გადახდილი შემდეგ ვადებზე: პირველად 3 მ., 1 მარტისათვის 5 მან., 1 მაისისათვის 7 მ. და 1 მ. 50 კ. 1 ივლისამდე.
გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის 1 რიცხვიდან, მხოლოდ სრული თვეებით და მხოლოდ მიმდინარე წლის ბოლომდე.
გაზეთს, ფულის მიღების უფლებით, არსად არავითარი აგენტი არა ჰყავს (გარდა წ.-კ. ს. მთავარ გამგეობის ტფილისის წიგნის მაღაზიისა) და ამიტომ პასუხს აგებს მხოლოდ იმ შემთხვევაში, როდესაც ფული ან ფოსტით არის გამოგზავნილი, ან პირდაპირ კანტორაშია მიღებული.
რედაქცია დაუბეჭდავ ნაწერების შესახებ ავტორებთან მიწერ-მოწერას არ ჰმართავს, თუნდ საპასუხო მარკაც იყოს გამოგზავნილი და დაუბეჭდავ წერილებსაც არ ინახავს. დანარჩენ შემთხვევაში ყოველ შეკითხვის ან რაიმე ცნობის შესახებ საპასუხოდ საჭიროა **ფოსტის მარკა.**
დანარჩენი პირობები იხ. გაზეთის სათაურში.


შაბათს, ოქტომბრის ცამეტს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, გადახდილი იქნება წირვა და პანაშვიდი ქალ. ჩელიაბინსკში მძიმე ავადმყოფობის შემდეგ გარდაცვალებულ

**ვანო იოსებ ივანე-ის ძე მოსულიშვილის**

სულის მოსახსენებლად, რასაც აუწყებს ნათესავთ და ნაცნობთ უბედური **მამა იოსებ სოლომონის ძე მოსულიშვილი და და მისი ეფემია იოსების ასული გველესიანისა.** წირვა დაიწყება დილის 10 საათზე, ხოლო პანაშვიდი 12 საათზე. 720

**შვილი ნიკოლოზ დავითის ძე სხირტლაძე-ბროვეელ და რძალი ოლგა ავგუსტის ასული** აუწყებენ ნათესავთ და ნაცნობთ გარდაცვალებას საყვარელ დედისას

**სათო ბიჭიას ასულის სხირტლაძისას.**

წირვა და პანაშვიდი შაბათს, 13 ოქტომბერს, ქვაშვეთის წმ. გიორგის ეკლესიაში, სადაც არის დასვენებული, დილის 9 საათზე. დაკრძალვა კუკიის წმ. ნინოს სასაფლაოზე. პანაშვიდი დღეს, 12 ოქტომბერს, ქვაშვეთის ეკლესიაში საღამოს 7 საათზე. 722.

**ნინო ანდრიას ასული, ვასო თავის მეუღლით, მარია, სოფიო და ლუბა მირიანი ღლონტები** გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა აზნაური

**გრიგოლ გლახუნა ანტონის ძე ღლონტი**

პირველის ქმარი, მეორის, მესამის, მეოთხის და მეხუთის საყვარელი მამისა და ძმისა. პანაშვიდი ყოველ დღე 4—5 საათ. საკუთარ სახლში (ნადიროვკა, ჩერეპიჩნი ქუჩა № 1). გამოსვენება კვირას, დილის 10 საათზე. ნიკოლოზის ეკლესიაში, დაკრძალვა წმ. ნინოს სასაფლაოზე. 721.


**ავლაბრის სახალხო თეატრი** (მურაშკოსეული).
**კვირას 14 ოქტომბერს, 1912 წ.**
ავლაბრის ქართულ სახალხო წარმოდგენების მმართველი წრის მიერ წარმოდგენ. იქნება
**სამხედრო განაკში,** დრამა 4 მოქ., თარგ. ა. იმედაშვილისა.
მონაწილეობენ: ქ. მარგველაშვილი; ბ-ნნი **ივანიძე**, სულთანიშვილი, კორძაია, თავდგირიძე, მეფარნიშვილი, მაჩხნელი, კულულაშვილი, კილოსანიძე, ასანიშვილი, ჯიქლაძე, გოძიაშვილი, მჭედლიშვილი, ჯანოშვილი და სხვა. **დასაწყ. საღ. 8 ს.** ადგ. ფასი 50—4 კ.
**ანონსი:** 27 ღვინობისთვეს **ილია ჭავჭავაძის** 75 წ. დაბადების აღსანიშნავად გაიმართება **ლიტერატურული გასამართლება** „დიმიტრი თავდადებულისა“. წარმოდგენილი იქნება „დედა და შვილი“ და ქართული კონცერტი
1484. რეჟისორი **ი. ივანიძე,** მორიგი გამგე **ზ. ფორაქაშვილი.**



## დრამატიული კურსები

ქართულ თეატრთან არსებული,

**გაიხსნება ამ წლის ოქტომბრის შუა რიცხვებში.**

სურველთ შეუძლიათ ჩაეწერონ კურსებზე ყოველ დღე დილის 11 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. ყოველივე ცნობათა მიღება და პირობათა გაგება შეიძლება **ვლ. ალექსი-მესხიშვილსა და ვალერიან გუნიასთან** ყოველ დღე ქართულს თეატრში. 1541.



ტელეფ. № 795. **ქართული თეატრი** წარმოდგენა № 8.
**კვირას, 14 ოქტომბერს, 1912 წ.**
ქართ. დრამატ. საზოგადოების დასის მიერ წარმოდგ. იქნება
**ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწილეობით **ცნობილი პიესა კინი,** დრამა 5 მოქ. ა. დიუმას შვილისა, თარგმანი ვ. გუნიასი.
მონაწილეობენ: ქ-ნნი აბაშიძე, დავითაშვილი, კარგარეთელი, შოთაძე, ჩერქეზიშვილი, ჯავახიშვილი; ბ-ნნი ალექსი-მესხიშვილი, აბდუშელი, ალექსიძე, ბერიშვილი, გედევანოვი, ზურდალიშვილი, მატარაძე, ქვიძე, სარაული, ციციშვილი, შალიკაშვილი.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე, ადგილების ფასი ჩვეულებრივია.**
თეატრის დირექცია დაბეჯითებითა სთხოვს ბ. მაყურებელთ, ფარდის ახდამდე დასხდნენ თავიანთ ადგილზე, რადგანაც ფარდის ახდის შემდეგ დარბაზში აღარავის შეუშვებენ.
**ანონსი:** ხუთშ., 18 ოქტ., წარმ. იქნება **ვლ. ალექსი-მესხიშვილის** მონაწ. პირველად ახალი ორიგინალური პიესა **ვალ. შალიკაშვილისა—„გადაჭრილი მუხა“.**
1541. რეჟისორი **ვლ. ალექსი-მესხიშვილი.** ✦ ქართ. დრამ. საზოგ. ადმინ.



**კ. ი. ზუბალაშვილების სახალხო სახლი**
შაბათს, 13 ოქტომბერს 1912 წ. ქართულ სახ. წარმ. მმართველ წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ნ. ვ. გოგოლის **„რევიზორი“** კომ. 5 მოქ. „M canscеu“ მოსკოვის სამხატვრო თეატრისა.
მონაწილეობას მიიღებენ: ქ-ნნი ე. არაბიძე, ანტუანეტა, ათაბეგიშვილი, ს. ბადრიძე, მ. გოგოლაშვილი, გოდერძი, კ. ხელი, **პიერეტა**, ბ. ტანელი, ფეიქრიშვილი, ე. ციმაკურიძე, ბ. ბ. გ. ანაშვილი, ს. არშაკუნი, დ. ბაქრაძე, ნ. გოცირიძე, ილ. ზურაბიშვილი, კავაძე, ი. მინდიაშვილი, ა. მეტრეველი, ვ. ნინიძე, ს. პეპანოვი, ს. რომანიშვილი გ. სვანელი, რ. სალაყაია, გ. ფრონისპირელი, ნ. ჭანკვეტაძე, გ. ჯაბაური. შემდეგი წარმოდგენა გაიმართება 16 ოქტომბერს. ბილეთების ფასი: 5 კაპ. ვიდრე 50 კ.-მდე.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე**
რეჟისორი ალ. **წუწუნავა.** 1499. „წრის“ ადმინისტრაცია.



**ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი**
პარასკევს 12 ოქტომბერს 1912 წელს
ჩვეულებრივად **სინემატოგრაფი**
ორკესტრი და საზანდარი.
**დასაწყისი საღამოს 8 საათზე.** 1536.



**ა ხ ა ლ ი კ ლ უ ბ ი**
**შაბათს, 13 ოქტომბერს,**
**ჩვეულებრივი საოჯახო საღამო.**
ქართულ თეატრში მსახიობ **ვ. აბაშიძისა** და **კ. მესხის** მონაწილეობით წარმ. იქნება:
**„სიკვდილი ნაპოლეონისა“,** დრამა 1 მ. თარგ. აბაკელიასი. ✦ 2) **უბედური დებიუტი,** ვოდ. 1 მოქ თარგ. ახოსპირელისა.
წარმოდგ. შემდეგ გაიმართება **ც ე კ ვ ა.** თეატრ. ბილ. ფასი 75—20 კ., გალერ. შესვლა საყოველთაოა. სტუმ. იხდ. კლუბ. შესასვლ. კაცები 1 მ., ქალები 50 კ., სტუდ. 25 კაპ. **დასაწყ. საღ. 8 ნახ. ს.** 1536



**გამოსულია და იყიდება**
**არჩილ ჯორჯაძის თხზულებანი:**
I ტ. „ეროვნულ პრობლემის გარშემო“ ფასი „ „ „ 75 კ.
II „ „ჩვენი საზოგადოებრივობა „ „ „ „ „ 80 „
III „ „ნააზრევი“ „ „ „ „ „ „ „ 65 „
IV „ წერილები „ცნობის ფურც.“-„მოამბ.“ 1901—1902 წ. „ 85 კ.



**ქ. შ. წერა-კითხ. გამ. საზოგ. წიგნის მაღაზიაში**
**იყიდება შემდეგი წიგნები:**

| | |
|---|---|
| საქრისტიანო მოძღვრებ., ფასი 30 კ. | Номоканонъ Іоанни Постника, Хаханова . . . . . . 2 მ. |
| სიტყვა თქმული ერთს კრებაზე. 10 კ. | Правила VI, Вселенскаго Собора Хахановъ . . . . 1 მ. |
| საეკლესიო ქადაგებანი იოანე ბოლნელისა . . . . . 1 მ. | Іерусалимскій Канонаръ VII в. Св. Кекелидзе . . . 2 მ. |
| მოძღვრებანი მღვდ. გამრეკელ. 40 კ. | Древне-Грузинскій Архіеретиконъ, Кекелидзе . . . 1 მ. |
| წესი სამღვდელოსა და საღმრთო ლიტურგიისა წმინდათა შორის მამისა ჩვენისა იოანნე ოქროპირისა . . . 60 კ. | Культурная роль Иверіи въ Исторіи Руссіи. სამი მანეთის ნაცვლად . . . . . . 1 მ. 50 „ |
| Слова и рѣчи. ეპისკ. გაბრიელი . . . . . . 2 მ. | |

ადრესი ტელეგრამისათვის: Тифлисъ Грамотность. 1141.



## ტფილისის კერძო სამკურნალო

**ძმანიევის ქუჩა, საკუთ. სახლი, № 7, მეტეხის სასტუმროს და მიხეილის პროსპექტ. ახლო**

**ტ ე ლ ე ფ ო ნ ი № 590.**

**სტაციონალური განყოფილება მოწყობილია 50 საწოლით, განსაკუთრებითი სამშობიარო განყოფილება.**

მწოლიარე ავადმყოფების მიღება შეიძლება ყოველ წამს, გარეშე მოსიარულე ავადმყოფებს მიიღებენ შემდეგი სპეციალისტი-ექიმები:

| | |
|---|---|
| შინაგანი ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღე, გარდა კვირისა). $11^1/_2$—12 საათ.<br>**დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ქიქოძე ტ. ს.** (ორშაბათ. და ოთხშაბ.) 9—10.<br>**მალალაშვილი გ. გ.** (ორშაბ., სამშაბ. და შაბათობით) 10—12.<br>**მანსვეტაშვილი გ. მ.** (ორშაბ., ოთხშაბ. და პარასკ.) 2—3.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე, გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ქირურგიული | **მარკევიჩი გ. ლ. კონსულტანტი** (ორშაბ., ოთხშ. და პარასკ.) $11^1/_2$—$12^1/_2$.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ფირალოვი რ. ბ.** (ყოველ დღე) 12—1. |
| სამშობიარო, ქალთა სნეულებანი | ექიმი-ქალი **ვერბიცკი-ფირალოვისა ლ.** (ყოველ დღე) 11—12.<br>**მელიქიშვილი ნ. მ.** (ყოველ დღე) 10—1.<br>**ხულუკოვი ა. ი.** (ყოველ დღე) 12—1.<br>**თიკანაძე ი. ე.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ბავშვების ავადმყოფ. | **ლამბაშიძე ვ. დ.** (ყოველ დღ. კვირ. გარდა), $12^1/_2$—12 ს.<br>**მიქელაძე შ. ა.** (ყოველ დღე) $12^1/_2$—1.<br>**ფედოროვი ე. გ.** (ყოველ დღე გარდა ოთხშაბ. და კვირისა) 12—1. |
| ნერვ. სნეულ. | **გედევანიშვილი მ. ა.** (შაბათობით) $10^1/_2$—11.<br>**დბვითიანი რ. ს.** (ყოველ დღე) 1—2. |
| ყურ. ყელ. ცხვ. | **ათენიანცი ნ. ა.** (ყოველ დღე) 1—2.<br>**ორემბოვსკი ნ. ს.** (ყოველ დღე) $2^1/_2$—3. |
| თვალ. | **მუსხელიშვილი ვ. ს.** (ორშაბათობით, ოთხშაბ. და პარასკ. 2—$2^1/_2$. |
| კან. ვენ. | **მზარეულიშვილი მ. ი.** (ყოველ დღე) 1—$1^1/_2$. |

სამკურნალოს აქვს მოწყობილი საკუთარი სამიკოქიმიო და საბაქტერიოლოგიო ლაბორატორია. სისხლის გასინჯვა, ათაშანგ. Wassermann. რეევისათვის 50 კ., საწოლები 2 მ. დაწყებული. ცალკე ოთახი 5 მანეთიდან. მშობიარობა 10 დღე წოლით ღირს 40 მ. ოპერაციები, კონსულიუმი, შარდის ბუშტისა და მილების კატეტერიზაცია; „606“ **წამლის შეშხაპუნება,** ელექტრონით წამლ., მასსაჟი, ყვავილის აცრა, ძიძათა შემოწმება და სხვა შეღავათიანი საფასურით. წ. 1010.



**საგურთალოზე**

☞ **მშვენიერ ალაგას,** ☜
ახლად აშენებულ ეკლესიისა და დიდუბის მომავალ ხიდის თავლობლად დაიჭრა 20 დესეტინა მამული და იყიდება წვრილ ნაჭრებად ხელმისაწვდენელ ფასებში.
მსურველთ შეუძლიანთ მიჰმართონ ოლღას ქუჩაზე, სახლი № 6, სოლომონ ივანეს ძე **თაქთაქიშვილს**, დილის 8 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე. საღამოს 5 საათ. ან 8 საათამდე. უმორჩილესად ვთხოვთ მიწის მყიდველებს, რომ **თავის დროზე შემოიტანონ დარჩენილი ვალი,** თანახმად ჩვენგან მიცემულ კვიტანციისა. (წ. 1020



## ვაგზლის კერძო სამკურნალო

**გარედან ყოველ დღე მოსიარულე ავადმყოფთათვის.**
ვაგზლის ქუჩა. № 8. ტელეფონი № 695.
**ე. ს. ვაშაკიძე.** ყოველ დღე, შინაგან ავადმყ. $9^1/_2$ ს. 10 ს.
**ა. ნ. დიასამიძე.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა. სიფილ. კანისა და ვენერ. 11—$11^1/_2$ ს.
**გ. ა. პოპოვი.** ყოვ. დღე, კვირ. გარდა ყელ, ყურ. და ცხვ. სნეულ. 11—$11^1/_2$.
**შ. ა. მიქელაძე.** შინაგან და ბავშვთა ავადმყ. 1—2 ს.
**ნ. მ. მელიქიშვილი.** ქირურგიული და ქალთა ავადმყ. 1—2 ს.
**ივ. გომართელი.**—ყ.-დღ. შინაგ. 2—3 ს. მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური-ქიმიური გამოკვლევანი; აგრეთვე ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისათვის 50 კაპ.
ოპერაციები და კონსილიუმი მორიგებით,
**წამლობა „606“-ით.** 1018



**კბილის ექიმი**
**მამულაიშვილი-ხოდნევისა**
წამლობა, პლომბის გაკეთება ფაიფურით და ოქროთი. კბილის ამოღება უტკივილოდ. ოქროს „კორონკები“ და „ვსტავკები“ (ახალი სისტემის პლომბი, რომელიც არ იშლება და არ ვარდება). ბრუნდი კბილების გასწორება მიღება დილით 8—2 საათამდე, საღამოთი 5—7 საათამდე. ოლგას ქუჩა № 20, [illegible] 1504



**ელექტრონისა და რენტგენის**
**ს ა მ კ უ რ ნ ა ლ ო**
**მიხ. გედევანიშვილისა**
ავადმყოფებს იღებს ყოველ-დღე დილ. 12—1 ს., საღამოს 6—7 ს., გაშინჯვა და გადაღება რენტგენის სხივებით. ვერა, ყორღანოვის ქ. № 20. წ. 1022



**ექიმი ივ. გომართელი**
**დაბრუნდა** და განაახლა ავათმყოფების მიღება.
ვერაზე, ოლგას ქუჩა № 20. დილის 8—11 ს.-მდე, საღ. 5—7 საათ. 701.



**ექიმი შ. ა. მიქელაძე**
იღებს **შინაგან. და ბავშვთა სნეულებიან** ავადმყოფთ ყოველ დღე საღამოს 5 ნახ.—$6^1/_2$ საათ. კახეთის ქ., № 6.



**ექიმი ი. ი. ბერიშვილი**
სწამლობს **საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის** ავადმყ.; **ვასსერმანის** რეაქციით იკვლ. ათაშანგ. მოწამლ. სისხლს. მიღება ნაშუადღ. 3—$5^1/_2$ ს. **ელისაბედ. ქ.**, № 94, საფოსტო განყოფი. პირდაპირ. 1530



**ექიმი ს. ი. გძელიშვილი**
შიგნეულობისა და ვენერიულ ავადმყ. დილ. 9—11 საათ., საღ. 6—8 საათ. დიდუბე, საგურამოს ქ., (მუშტაიდის ბაღის შუაგულიდგან მარჯვნივ), № 21, ხრამელაშვილის სახლი. დღისით: 2—4 საათამდე. ბარონისა და ბაზრის ქუჩის კუთხე, № 14. 1411



**ექიმი ქ ა ლ ი**
**დ. გ. საყვარელიძე.**
იღებს ავადმყოფებს ქალისა და საბებიო. ნაშუადღ. 1—2 ს., საღამოს 5—6 საათამდე.
კიროჩნის ქუჩა, № 9. 595.



**ექიმი ა. ნ. დიასამიძე**
კანისა და ვენერიულ ავადმყოფებს იღებს ყოვ.-დღე ნაშუადღ. 2—3 ს. საღამ. 6—7 ს. ხუთშაბ. მხოლოდ დილ. 8—9 ს. კვირ. ავადმყ. არ იღებს. მოსკოვის ქუჩა, № 3, ს. გაბაშვილისა.



**ექიმი** კბილისა და ღრძილებისა **პ. ა. ქაჯაია**
იღებს ავადმყოფებს დილით 8—2 ს. საღამოთი 3—7 საათამდე. ელისაბედის ქუჩა, № 151. დიდუბე .049



**ექიმი პ. ა რ დ ა ზ ი ა ნ ი**
შინაგან და ბავშვებ. ავადმყ. (სპეციალ. ფილტვებ. სნეულ. რევმატიზმიქარები) ტფილისი, ალექსანდროვის ქუჩა, № 3. 11—2 ს. საღამ. 5—7. 1045.



**ექიმი ალ. სოლოლაშვილი**
იღებს ავადმყოფებს 9—2 საათ. და 5—4 საათ. გოლოვინის პრ. № 12. 1334.



**ექიმი** კბილისა **ნინო რცხილაძე**
იღებს დილით 9—2 ს. საღ. 5—7 ს. ოლგას ქუჩის შესახვევი № 5, სახლი მაქარაშვილისა


## კიდევ ორიოდე სიტყვა *)

ჩაგვაცივდნენ, რატომ არ ვაცნობეთ „თემს“ და „ზაკავკ. რეჩ“-ს სახელი იმ კანდიდატისა, რომლის წამოყენება გვინდოდა ტფილისის გუბერნიიდან! გვისაყვედურებენ, ვითომც ამითი ხელი შეუშალეთ სხვა ჯგუფებს და თავიანთი კანდიდატი ვერ წამოვაყენებინეთ. მაგრამ, აგვიხსენით, ბატონებო, რა უფლების ძალით გვედავებით, რასაც გვედავებით. ნუ თუ გგონიათ, რომ პოლიტიკური ჯგუფი, რომელსაც მუდამ ეომებით, ცნობების მიმცემი „ბიურო“ და ამ „ბიუროს“ მოვალეობაა, დააკმაყოფილოს თქვენი ცნობის-მოყვარეობა? გარდა ამისა, თუ თქვენ არ გესმით, დღევანდელ პირობებში, რატომ არის ხოლმე იძულებული ესა თუ ის ჯგუფი შინაურულად მოაწყოს საქმეები და საჯარო ლაპარაკის საგნად არ გახადოს იგი, თუ ეს გაუგებარია თქვენთვის, უნდა მოგახსენოთ, რომ ცოტათი დაგიგვიანდათ და ძალიანაც რომ ეცადოთ, ქალარა-მორეულები ანბანს ვეღარ ისწავლით. სხვა ჯგუფებს ხელი შეუშალეთო! ახალი დარდი! ჩვენ ის ჭირი და ვარამიც გვეყოფა, ცხოვრების უკუღმართ ძალთაგან ნიაღვარსავით რომ გადმოსჩქეფს ჩვენსკენა, რომ თქვენი რაღაც საეჭვო ჯგუფების დღეგრძელობისთვის აღარ ვიზრუნოთ! მაგრამ „ჯგუფებს“ რომ ჰგულისხმობთ, იგავებით კი ნუ ლაპარაკობთ, ნათლად სთქვით, რომელია ის ჯგუფი, რომელსაც თურმე ხელი შეუშალეთ იმ გარემოებით, რომ ჩვენი კანდიდატის სახელი არ ვაცნობეთ. თუ მართლა არსებობს ამისთანა ჯგუფი, ბარაქალა მის ღონეს, ძლიერებას და განსაკუთრებით მის უტყუარ სიბრძნეს!

ახლა სხვა მხრით გვივლიან. იმის უფლებასაც გვართმევენ, ლუარსაბ ანდრონიკაშვილის კანდიდატურას ხმარი მივცეთ და გავამარჯვებინოთ გ. ჩხეიძის წინააღმდეგ. ლ. ანდრონიკაშვილს უარჰყოფდით, სხვა გინდოდათ და ახლა კი ქებით ამკობთ და ირჩევთო. ამ გვარად ვითომც წინააღმდეგობაშიაც კი დაგვიჭირეს ვერაგობის გამომზევებით. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის კანდიდატურის შესახებ საკმარისი ცნობა მოიპოვება „სახალხო გაზეთში“. ვისაც მართლა გულწრფელად აინტერესებს ეს საგანი, ამ ცნობებში დასაბუთებულ მოტივებს იპოვნის იმის გასაგებად, ან თუ რატომ არ ვიწყნარებდით ამ კანდიდატურას იმ ხანაში, როდესაც ჩვენი კანდიდატი გვეგულებოდა, ან თუ რატომ, რა მოსაზრებას ძალით ორს კანდიდატში უპირატესობა მას მივეცით შემდეგში, განსაკუთრებით მაშინ, როდესაც გამოირკვა სამარცხვინო კავშირი ეს-დეკებისა „დაშნაკელებთან“. ჩვენი მოპირდაპირენი ამ მოტივების განხილვას ვერა ჰბედავენ, წინააღმდეგობაზე კი თამამად ლაპარაკობენ. ასე რომ ჩვენ სრულიად განთავისუფლებულნი ვართ ყოველ-გვარ ვალდებულობისაგან ხელმეორედ განუმარტოთ მათ ეს საგანი. ჩვენ ვალდებულნი ვართ მხოლოდ ვსთქვათ კიდევ რამდენიმე სი-

*) ეს წერილი უკვე დაწერილი მქონდა, როდესაც დაიბეჭდა ბ. აბისელის პასუხი. რადგან ამ პასუხში ახალ მოტივებს ვერ ვპოულობ, ხოლო დღევანდელ ვითარების გაუგებრობის კვალი მასშიაც ნათლად სჩანს, ამიტომ დავკმაყოფილდები ამ პატარა წერილით ა. ჯ.

ტყვა ჩვენი მოპირდაპირეთა ნამდვილ სახის გამოსაჩენად.

„თემს" გული უსკდება, შემთხვევამ დაფნის გვირგვინით არ შეამკოს ჩვენი თავი და სხვისი ღირსება და დამსახურება ჩვენ არ მივითვისოთ. ქვეყნის გასაფრთხილებლად იგი ამბობს: „თუ ლ. ანდრონიკაშვილს აირჩევენ, ამაში ყველაზე ნაკლები წვლილი „სახალხოელებს" მიუძღვით. ეს სხვა ჯგუფის მიერ იქნება გაკეთებული, რომელსაც მათთან საერთო აღარა აქვთ-რა". ნეტავი,—ვკითხავთ კიდევ ერთხელ,—რომელია ის ჯგუფი, რომელთანაც „სახალხოელებს" რაღაც საერთო ჰქონიათ წინად, ეხლა კი საერთო **აღარა აქვთ რა?** რატომ ჰგონია „თემს", რომ ჩვენ ვისმეს ვედავებით „წვლილის" საკითხში და გვინდა პირველობა დავიჩემოთ. ჩვენ გვინდა მხოლოდ ავასრულოთ ჩვენი მოქალაქობრივი მოვალეობა და ჩვენი ხმებით ხელი შეუწყოთ ლ. ანდრონიკაშვილის არჩევას. რაც შეეხება „წვლილს" თუნდ „ზაკ. რეჩმა" დაიჩემოს, არას ვიტყვით. მაგრამ „ზაკავ. რეჩი" დაღონებულია-აქაც ხელშემშლელი ბოროტი ძალა „სახალხო გაზეთი" გამოდის. ამ გაზეთს სომხის ამომრჩეველნი გაუჯავრებია თავისი უტაქტო გამოლაშქრობით. ჩვენი გაზეთის „глубоко бестактная выходка"-ს თურმე საქმე გაუფუჭებია. შარშან, როდესაც „ზაკ. რეჩი" რუს-ხულიგნებს შეუერთდა და ორი ხმოსნის სავარძელის გულისათვის უსისინებდა და ძირიან-ფესვიანად იკლებდა სომხებს,—ეს დიდი პოლიტიკური გამჭრიახობა და ტაქტი იყო. წლეულს კი, როდესაც დაშნაკელების და ეს-დეკების კავშირი იერიშით მივიდა ქართულ ეროვნულ საქმის წინააღმდეგ, ამ სამარცხვინო მოვლენის აღნიშვნა თურმე „глубоко бестактная выходка" ყოფილა. საბრალო არ იქნებოდა ეს ქვეყანა „ზაკ. რეჩ"-ის ტაქტის ფეხის ამყოლი რომ ყოფილიყო.

დასასრულ განა, საგულისხმო არ არის გარემოება, რომ „აპოლიტიკურ ესდეკური", „თემი" და „ზაკ. რეჩ"-ი რაღაც ნათესაურ სიხარულს და სოლიდარობას ჰგრძნობენ, როდესაც ცხოვრების მოვლენათა ტრიალი შემთხვევას აძლევს ამ ორგანოებს „სახალხო გაზეთი" და მისი თანამოაზრენი გაასამართლონ და სამარცხვინო ბოძს მიაკრან სამშობლოს წინაშე შეცოდებისათვის. „იყავნ ნება შენი".

**არჩილ ჯორჯაძე,**

# ახალი ამბავი

## ტფილისი

✦ **კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ი. ი. ვორონცოვ-დაშკოვი** პეტერბურგიდან ტფილისს 15 ოქტომბერს გამოემგზავრება.

✦ **სახელმწიფო საბჭოს წევრთა არჩევნები.** როგორც ტფ. საბირჟო კომიტეტის მიერ ცნობით სჩანს 24 ოქტომბერს ვაჭარ-მრეწველთა ამომრჩეველნი სახელმწიფო საბჭოს ოთხს წევრს აირჩევენ თავიანთ შორის.

✦ **ტუსაღის გაქცევა.** 9 ოქტომბერს ოლქის სასამართლოდან პოლიციელს საგუბერნიო ციხეში მიჰყავდა ტუსაღი სვიმონ ნერსესოვი, რომელიც გზაზე პოლიციელს გაექცა და დაიმალა. გაქცეული იმავ დღეს შეიპყრეს. მას ღირსების ახდა და სამის წლით პატიმართა გამასწორებელ რაზმში გაგზავნა აქვს გადაწყვეტილი სიყალბის ჩადენისათვის.

✦ ამას წინად **დაპატიმრებულნი** ა. გ. ბებურიშვილი, ი. მაკედონსკი, ვ. როხლინი და ა. ლანდია გუშინ გაანთავისუფლეს.

✦ გუბერნატორმა ნება დართო **თავ. მ. ი. ციციშვილს,** გამოსცეს გორში ყოველ დღიური **გაზეთი „ქართლი".**

✦ გუშინ ალექსანდრე—ნეველის სამხედრო ტაძარში წირვის შემდეგ გადახდილ იქმნა პარაკლისი მემკვიდრის ცესარევიჩის ალექსი ნიკოლოზის ძის განკურნების გამო. პარაკლისსა და წირვას დიდძალი ხალხი დაესწრო.

✦ **ნებადართული პიესები.** კავკასიის ნამესტნიკმა ნება დართო კავკასიის სცენებზე წარმოადგინონ შემდეგი პიესები: „ციცინათელა" ნ. შიუკაშვილისა, „მოჭრილი მუხა" ვ. შალიკაშვილისა, „სიყვარულის ყვავილი" კ. ანდრონისა, „ოჯახი" ი. გედევანიშვილისა და „დაკეტილ კარებთან" ვ. გუნიასი.

✦ **ტფ. გუბერნატორი** ა. გ. ჩერნიავსკი სამსახურის საქმეთა გამო გუშინ ტფილისიდან თიანეთის მაზრაში გაემგზავრა.

✦ ამას წინად დაპატიმრებული მუშათა კურიის ამომრჩეველთა რწმუნებულნი ბ. მიკირტუმოვი და მუქიჩენკო გუშინ 10 ოქტომბერს. უკვე გაანთავისუფლეს.

✦ **„კოოპერაციის" რედაქციას თევდ. ღლონტისთვის დაუვალებია** მიმართოს ქველმოქმედ ბ. იაკობ მანსვეტაშვილს ჟურნალ „კოოპერაცია"-ს გამოცემის საქმეების თაობაზე მოსალაპარაკებლად. ბ. ღლონტი მანსვეტაშვილს ბაქოში ჩასვლისათანავე ინახულებს.

✦ **თევდ. ღლონტს** განუძრახავს **ბაქოში** წაიკითხოს სალექციო მასალა „დედაკაცი საქართველოს ეკონომიურ ცხოვრებაში". მასალის შინაარსია: შესავალი, დედაკაცი და ჩვენი საზოგადოება, დედაკაცი, როგორც შემოქმედი ძალა ჩვენს ცხოვრებაში. დედაკაცის ეკონომიური ძალა საქარ. წარმ. ნატურალურ ხანაში. დედაკაცი დ ბატონ-ყმობა. ნაწ. 2 კაპიტალიზმი საქართვ. და ახალი სოციალური წყობილება. დედაკაცის შრომა და ხელფასი. დედაკაცის ეკონომ. შემოქმედება ჩამორჩენილ კუთხეებში. შრომის მძიმე პირობები; რეზიუმე. მიზეზი დედაკაცთა შემოქმედებაზე ყალბი შეხედულებისა; სხვა და სხვა სოც. მდგომარეობის ქალები და მათი როლი ცხოვრებაში. მასალას წაიკითხავს ამ თვის მეორე ნახევარში. დაწვრილებით ცალკე იქნება,

✦ **სახელმწიფო არჩევნების საგუბერნიო კომისიამ** არ დაამტკიცა სამაზრო კომისიის დადგენილება, რომლითაც, რუსთა კურიის არჩევნების დროს ნაციონალისტების ბიულეტენები უვარგისად იცნო. საგუბერნიო კომისიამ ნაციონალისტების ბიულეტენები კანონიერად აღიარა. რადგანაც ხმის უმრავლესობა აღარა აქვს პროგრესისტებს, არჩევნები ხელმეორედ მოხდება კვირას, 14 ოქტომბერს.

✦ ქ. ეკატერინოდარის ქალაქის გამგეობამ **ტფილისის ქალაქის გამგეობას სთხოვა,** რაც შეიძლება მოკლე ხანში მოაწოდოს დაწვრილებითი ცნობები საქალაქო გადასახადის შესახებ, გაწერის იმ მამულზე და შენობებზე, რომელიც რკინის გზას ეკუთვნის და ქალაქის ფარგალში იმყოფება.

✦ **რედაქციამ მიიღო** კიტა აბაშიძის „ეტიუდები მ-XIX საუკუნის ქართულ ლიტერატურის შესახებ". წიგნი 282 გვერდიანია, ლამაზიანად არის გამოცემული და თოთხმეტი შაური ღირს.

✦ **რედაქციამ მიიღო** ქართული „ლოცვანი" პირველ დაწყებით სკოლებისთვის, შედგენილი მღ. ა. გერსამიას მიერ, ფასი ორი შაური.

✦ 10 ოქტომბერს ტფილისში 39 უპასპორტო შეიპყრეს.

### საზოგადოებანი და კრებები

✦ დღეს, საღამოს, კრება ექნება რუს ნაციონალისტთა პარტიის კომიტეტს, რომელიც მსჯელობას იქონიებს რუს პატრიოტებთან ბლოკის შეკვრის შესახებ სათათბიროს არჩევნების დროს.

✦ **საგანგებო ხელოვნებათა წამქეზებელ საზოგადოების** კრება დღეს, საღამოს $7^1/_2$ საათზე მოხდება ტფ. რეალურ სასწავლებლის სადგომში.

### სასწავლებლებში.

✦ ხვალ, 13 ოქტომბერს, საღამოს 8 საათზე, ვაჟთა პირველ გიმნაზიის სადგომში მოხდება კრება ბუნების მკვლევართა და ექიმთა კრების მომწყობ კომიტეტისა.

### სასამართლო

✦ **ექიმის შამშე ლეჟავას საქმე.** 8 ოქტომბერს კავკასიის სამხედრო საოლქო სასამართლომ განიხილა საქმე ექიმის შამშე ლეჟავასი, რომელსაც სოციალ დემოკრატიულ პარტიის წევრობა ბრალდებოდა. სასამართლომ ბ-ნი ლეჟავა უდანაშაულოდ იცნო და სრულიად გაამართლა.

# ჟურნალისტის დღიური

89.

**უდისციპლინო აზროვნება.**

მკითხველი მიხვდება, რომ თუ ჩვენ უდისციპლინო აზროვნება ვახსენეთ, ალბად, „თემი" და „ზაკავკ. რეჩ"-ი გვყავს მხედველობაში. ამ სენს განსაკუთრებით რთული პოლიტიკური მდგომარეობა აღმოაჩენს ხოლმე. სხვა და სხვა პოლიტიკურ მომენტებისთვის ცოტად თუ ბევრად გაწვრთნილ, აზროვნების დისციპლინის ჰახრაკში გატარებულ ჯგუფს ყოველთვის სათანადო პასუხი მოეძებნება. უდისციპლინო აზროვნების მქონე ადამიანი კი იბნევა, წინააღმდეგობათა მორევში იხრჩობა. ასე დაემართათ „ზაკავკაზ. რეჩ"-სა და „თემსა". ვერც ერთმა მათგანმა ალღო ვერ აუღო სინამდვილეს, ორივეს თეთრი შავად მოეჩვენათ. „ზაკ. რეჩ"-ი, მაგალითად, სწერდა, ქ. ქუთაისში კიტა აბაშიძე კი არ დამარცხდა, დამარცხდა ის „დროშა", რომელიც ხელში ეჭირაო. სინამდვილე კი გვეუბნება: კიტა აბაშიძე, ისიც სრულიად მოულოდნელ შემთხვევის გამო, ამომრჩევლად ვერ გავიდა, მაგრამ „დროშამ" კი ქუთაისის გუბერნიის უმრავლესობა შემოიკრიბა თავის გარშემო. პოლიტიკურ ოპორტუნიზმის მატარებელი ჯგუფი თავ. ვლ. მიქელაძეს მეთაურობით სასტიკად დამარცხდა. ასეთი წინააღმდეგობა შედეგია არა ბოროტი განზრახვისა, არამედ სინამდვილის გაუგებრობისა. გაუგებრობას კი ჰბადებს უდისციპლინო აზროვნება.

ტფილისის გუბერნიის არჩევნების გამო ბ-ნი აბისელი საყვედურს მხოლოდ „სახალხო გაზეთს" უთვლის. ეს საყვედურიც საყურადღებოა. „სახალხო გაზეთმა," არჩევნებში ენერგია ვერ გამოიჩინა, და ტფილისის გუბერნიაში სოციალ-დემოკრატებმა იმიტომ გაიმარჯვესო. ეს არის მთავარი აზრი ყველა საყვედურებისა. გახსენით ფრჩხილები, სხვანაირად გამოსთქვით ეს აზრი და შემდეგს მივიღებთ: ტფილისის გუბერნიის იდეური გავლენა და ძალა მხოლოდ „სახალხო გაზეთი"-ს თანამოაზრეთ ჰქონიათ. საკმარისი იყო ისინი ამოძრავებულიყვნენ, რომ გამარჯვებაც მათთ ჰრგებოდათ. ვერ გამოიჩინეს ენერგია, და ყველა სხვა ჯგუფის უძლურებაც ერთბაშად ამოტივტივდა. აი, ასეთს დასკვნას გამოიტანდა ყველა ობიექტიური მეთვალყურე.

რამდენად სამართლიანია ჩვენსკენ მომართული საყვედურები უმოქმედობის შესახებ, ამის გამორკვევას ამ ჟამად არ შევუდგებით, მაგრამ თვით „ზაკავკ. რეჩ"-ის ნაწერების ლოღიკური ანალიზი მხოლოდ იმ დასკვნამდე მიგვიყვანს, რომ ტფილისის გუბერნიაში თუ აქვს ზნეობრივი გავლენა —ისევ „სახალხო გაზეთს".

ბ-ნი, აბისელი ჩვენს ორჭოფობას, სხვათა შორის, იმაშიც ჰხედავს, რომ ბ-ნ ლუარსაბ ანდრონიკაშვილის კანდიდატურა ჯერ დავიწუნეთ და მერე კი ვურჩიეთ ჩვენს ამომრჩევლებს, იმისთვის მიეცათ ხმა. ორჭოფობას აქ ის დაინახავს. ვისაც არაფრის დანახვა არ ჰსურს. ლუარსაბ ანდრონიკაშვილის შესახებ ჩვენს გაზეთში ორნაირი აზრი **ერთხელაც** არ გამოთქმულა. წინადაც ჩვენს მეთაურში და მერეც ბ-ნ არჩილ ჯორჯაძეს წერილში ნათელი ხოლივით იყო გატარებული ის აზრი, რომ ბ-ნი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი, მიუხედავად მრავალ პირად ღირსებისა, **ჩვენი კანდიდატი** მაინც ვერ იქნება. საჭირო იყო ამისი თქმა, რადგანაც ბევრს იგი ჩვენს კანდიდატად მიაჩნდა, მაგრამ ეს კიდევ ნებას არ გვართმევდა, ყოველს შემთხვევაში მის წინააღმდეგ ვყოფილიყავით. როდესაც საჭირო გაჰხდა გადაწყვეტა, ვის უნდა მიეცეს უპირატესობა, ჩხეიძეს თუ ლუარსაბ ანდრონიკაშვილს—ჩვენი სასწორი ლუარსაბ ანდრონიკაშვილისკენ გადიხარა. თუ რად მოჰხდა ასე—ამის საბუთს წინა ჩვენს წერილებში იპოვით.

თვით „ზაკავკ. რეჩ"-ი და „თემი" კი სწორედ ორჭოფობის მორევში იხრჩობიან. ჩვენში სამნაირი მიმართულება იბრძოდა. პირველ ორგანოს, თუ მას საკუთარი პოლიტიკური იდეალი აქვს, ან ერთი მიმართულებისთვის უნდა დაეჭირა მხარი ან მეორესთვის, ან მესამესთვის, ან სრულიად გაჩუმებულიყო. სხვა გზა არ არსებობს. „ზაკავკ. რეჩი" და „თემი" ვერც დაჩუმდნენ და ვერც მებრძოლ ჯგუფებს მიეკედლნენ. „ზაკავკ. რეჩ"-მა განზრახ არავითარი ყურადღება არ მიაქცია ძალთა რეალურ განწყობილებას, მიჩქმალა ის გარემოება, რომ იბრძოდნენ მიმართულებანი, და არა კერძო პირნი. ხან თავ. ვლ. მიქელაძეს გამოესარჩლა, ხან კიტა აბაშიძეს უძღვნა კომპლიმენტები, თითქოს არჩევნების ღერძი კერძო პირთა ინტერესების გარშემო ტრიალებდეს. „თემმა" კი უფრო სადა საშუალებას მიჰმართა—აპოლიტიკოსობას ამოეფარა. პოლიტიკურ ბრძოლაში რომ „აპოლიტიკოსი" ჩაერევა—იქ დომხალის მეტი არაფერი გამოვა. „თემი"-ც ამ დომხალად გადაიქცა. ესეც კარგია, ისიც კარგია, ესეც მომწონს, ისიც მომწონს, ამის მოქმედებაში ეს არის კარგი, იმის მოქმედებაში—ის, ერთის სიტყვით, იქცეოდა წუნია პატარძალსავით, რომელსაც ველარ გამოურკვევია, რომელი საქმრო სჯობიან.

ამ დროს კი უნდა გადაწყვეტილიყო ფრიად დიდ-მნიშვნელოვანი საკითხი: ვინ უნდა წავიდეს სათათბიროში ქართველ ხალხის ჭირ-ვარამის გამომხატველად: ის, ვინც საქართველოსა და მის ინტერესებს რუსეთის სოციალ-დემოკრატიულ პარტიის ინტერესებს ანაცვალებს, თუ საქართველოს ინტერესების თავისუფალი, დამოუკიდებელი, მაგრამ ენერგიული დამცველი.

როდის ან რანაირი პასუხი გასცეს ან „თემმა" ან „ზაკავკ. რეჩ"-მა ამ ძირითად კითხვას. როდისა სთქვეს თავიანთი კატეგორიული სიტყვა?

ამ ხალხმა საქართველო უნდა ააშენოს. „მახლას"! **შინაური.**

# ქართულ გიმნაზიის გარშემო.

ამ დღეებში დამთავრდა „ქართულ გიმნაზიის საზოგადოების" კრება. ქართულმა პრესსამ, გარდა მოკლე ქრონიკულ განცხადებებისა—არაფრით არ აღნიშნა ეს მოვლენა. ჩვენ ვფიქრობთ—ცოტა არ იყოს საყვედურის ღირსია ასეთ უყურადღებისათვის. ქართულ გიმნაზიის საქმე უნდა აინტერესებდეს ყველა ქართველს, გულის ცემით უნდა შესცქეროდეს მის ავ-კარგს. სწორედ აქ არის საჭირო საზოგადოების ხმა, აქ არის საჭირო პრესის სჯა.

ერთად ერთი წერილი უძღვნა, თუ პრესის სათვალავში ჩაითვლება) („ზაკავკ. რეჩ"-მა. № 228) სწორედ ეს ღვარძლით და გესლით სავსე წერილი ვიღაც „ton"-ისა გვაღებინებს ხელში კალამს.

ჩვენ ასე ვფიქრობთ, ყველას, ვისაც კი კეთილი ჰსურს, ვისაც წრფელად შესტკივა გული ჩვენი გიმნაზიისთვის, ვინც მართლა დაინტერესებულია ახალ გაზრდა თაობის აღზრდა-განათლებით, მშვიდის გულით უნდა აღნიშნოს გიმნაზიის ნაკლი და მზრუნველი კილოთი მიუთითოს მათ შესწორებაზედ, გამონახოს თავისებური მალამო შემჩნეულ იარათა განსაკურნავად, რა ღვძლ-აღსნილი უნდა იყოს ადამიანი, რომ ასეთ საყურადღებო საქმეზე ისეთი შინაარსის წერილი დასწეროს, რანაირიც „ton"-მა დასწერა. სად იკარგება გრძნობა მოვალეობისა იმ თაობათა წინაშე, რომლის ბედს ასე დაუფიქრებლად, ასე აბუჩად სწყვეტავენ?

ან იქნებ ფიქრობენ, რომ წერილი დაიწერა მორჩა და გათავდა; არა აქვთ სახეში, რომ ასე თუ ისე იგი შთაბეჭდილებას მოახდენს. ქვეყანა ხომ სულ გასალახანავებული არ არის; ისეთებიც არიან, რომელთაც შერჩენიათ პატივისცემა, რწმენა სიტყვის, მწერლობის წინაშე.

მაგრამ დავუგდოთ ყური.

„ton"-ი ამტკიცებს, საზოგადოებაში გაძლიერდა ინდიფერენტიზმი გიმნაზიისადმი და ეს იმის შედეგია, რომ საქმის უკუღმართად დენის გამო, აუტანელი ატმოსფერა დაიბადა სასწავლებლის გარშემოვო. ამითა ჰხსნის „ton"-ი კრებების მცირე-რიცხოვნებას, ამით ხსნის იმასაც, რომ გამგე კომიტეტის წევრებად ღირსეულ პირებს ვერ შოულობენ.

ჩვენ წესიერ დროზე მოწვეული კრებები გვინახავს, მაგრამ ამაზე ბევრად მრავალ-რიცხოვანი კი არ გვახსოვს. არც წინასწარმეტყველობა აუსრულდა ბ. „ton"-ს. კომიტეტის წევრობაზე ყოვლად ღირსეულმა პირებმა გამოაცხადეს თავის სურვილი. შემდეგ „ton"-ი განაგრძობს, ქართულ გიმნაზიას არავითარი ქართული არა აქვს რა მას ტყუილად ჰქვიან ეს სახელი, დროა განთავისუფლდეთ ამ თავის მოტყუებისაგან, იგი უფრო სახაზინო გიმნაზიაო, და სხ.

ჩვენც არა ვართ კმაყოფილი, გვსურს გიმნაზია სავსებით ქართული იყოს, მაგრამ ასე ლაპარაკი შესაძლებელია? ბარემა სთქვით, გადავცეთ მთავრობასო—და გაათავეთ. ზოგიერთნი მადლობელს მაინც დაგრჩებიან!

ქართულ გიმნაზიის ქართულ საზოგადოებისათვის განსკუთრებითი მნიშვნელობა აქვს, და სწორედ ეს აზრი ინახავს მას და „ton"-ისთანა გესლიანი შხამი მხოლოდ შებრალებას იწვევს ქართველ საზოგადოებაში.

ქართული გიმნაზია—არავისგან დასაწიხლი არ არის. მას თავისი ღვაწლი უკვე აქვს ქართულ საზოგადოებაში. მისი პირმშონი უკვე მუშაობენ საზოგადო ასპარეზზე. თუ დიდს არასა კეთებენ, სამაგიეროდ ჩირქით მაინც არ ავსილან საზოგადოების თვალში. კიდევ ვიტყვით--რა ვუყოთ, რომ დღეს გიმნაზია დაბეჩავებულია? ვინ არ განიცადა უკუღმართი დრო? თუ „Возрожденіе" „Зак. рѣчь"-ად გადაკეთდა—რა დიდი საქმე გიმნაზიასაც ნაკლი ეპოვებოდეს. „ton" გულის შემატკივრობასაც იჩენს. ურჩევს თავად-აზნაურობას, როგორც ერთად ერთს მხსნელს, შეუმციროს სუფსიდია 20,000 მანეთამდის, სამაგიეროდ ასწიოს სწავლის ფული სახაზინო გიმნაზიის ნორმამდე. ამით „tan"-ის აზრით, გიმნაზიას ეშველება. უკანასკნელ რჩევას იძლევა მაშინ, როდესაც რამდენიმე სტრიქონის წინად, სიხარულით აღნიშნავდა, გიმნაზიაში არა თავად-აზნაურული ელემენტიც შევიდაო, რაიც უმრავლესს შემთხვევაში მოწაფეების უღარიბეს ნაწილს შეადგენსო. მერე, როგორა ჰფიქრობს „Ton"-ის? სწავლის ფული რომ გადიდდეს, ვინ შეიქნება იძულებული, დაანებოს თავი სკოლას? უეჭველად ის ელემენტი, რომლის სკოლაში შესვლას ასე ხარობდა. თვალთმაქცობაც ასეთი უნდა!

აბა, გადაათვალიერეთ დღევანდელი ახალგაზდა მოღვაწენი. ბევრს მათგანს უნივერსიტეტი კი არა—სკოლის კარის ნახვაც კი, ეღირსებოდათ ეს სასწავლებელი, რომ არა ჰქონდა ქართველ საზოგადოებას?

ასე ვიცით მადლის დაფასებ!

გადავიდეთ უფრო საგულისხმიერო საკითხზედ, რომლის აღნიშვნასაც საერთო კრებისაგან მოველოდით, მაგრამ ამაოდ! მით უფრო აღსანიშნავია ეს საკითხი, რომ კრების დროს უკმაყოფილო კილოს ადგილი ჰქონდა იმათ წინააღმდეგ, რომლის მდგომარეობა, სასწავლებლის საკეთილდღეოდ, გადასინჯვას მოითხოვდა. დღეს, ვისაც კი აინტერესებს აღზრდა-განათლების საქმე, ვინც თვალ-ყურს ადევნებს მის მსვლელობას, მისთვის აშკარაა, რომ მოწინავე პედაგოგიკას სადღეისო საკითხად შემდეგი დებულება აქვს წამოყენებული: მასწავლებელისთვის შექმნას ისეთი ზნეობრივი კულტურული და მატერიალური პირობანი, რომელნიც უზრუნველჰყოფენ სალად და თავისუფლად გადაუშალოს მოწაფეთ საუნჯე განათლებისა. რუსეთმაც კი წინ წასდგა ნაბიჯი ამ სიმპატიურ საქმეში. ზნეობრივად და კულტურულად სდევნიან მასწავლებელს, მის ცხოვრების ქონებრივ უზრუნველსაყოფად კი დიდი ზრუნვა გამოიჩინეს ამ მოვლენასაც ჩვენ საზოგადოების შეუმჩნევლად ჩაუვლია. კრება ისევ ძველ კილოზედ ლაპარაკობდა. საერთოდ საქმე ამ ნაირად გვეხატება წინ. საშუალო სასწავლებელი ჩვენიც და სხვისიც მეტად სუსტს შედეგს იძლევა, მის პროგრამის და გეგმის უვარგისობაზე ბევრი რამ თქმულა, უკმაყოფილება გამოცხადებულა. უკმაყოფილთათვის ძნელია დანახვა, თუ რა ხდება კედელს იქით; ამიტომ მთელი მათი ყურადღება მიქცეულია სკოლის წარმომადგენელზე, მასწავლებელზე. სწორედ ამ უკანასკნელისაგან თხოულობენ—მისცეს მოწაფეს რაც შეიძლება სასარგებლო, გონივრული და ადვილად შესათვისებელი მასალა. ხშირად ავიწყდებათ ის ფარგალი, რომლითაც სხვა და სხვა პირობების გამო, მასწავლებელი შეზღუდულია.

ერთი საუკეთესო პედაგოგთაგანი ამბობს, გონებრივისდა ზნეობრივის ენერგიის დახარჯვით, დანიშნულების სირთულის მხრივ მასწავლებლის შრომა არაფრით ჩამოუვარდება პროფესორის შრომასაო. და მართლადაც მასწავლებლის ბაასი, ან ახსნა სისტემატიურად უნდა იყოს დალაგებული, ღრმად ნაფიქრი და შეწონილი, გაცოცხლებულ საჭირო ნიმუშ-მაგალითებით, გარკვეულ, ადვილად გასაგებ დი ხშირადაც ლამაზ ფორმითაც კი გამოთქმული.

ხშირი გამეორებისაგან მასალა ძველდება და აგრძნობინებს პატრონს მის განახლების საჭიროებას. ამიტომ მასწავლებლისათვის მეცნიერების თვალყურის დება, სერიოზულ ჟურნალ-გაზეთების კითხვა ზედმეტ სიმდიდრეს, ფუფუნებას როდი შეადგენს. იგი აუცილებელი საჭიროებაა მის კულტურულ ცხოვრებისათვის და სასკოლო მასალის განახლებისათვის. მხოლოდ მეცნიერებასთან ასეთ კავშირს შეუძლიან შეუნახოს, მასწავლებელს თვისი კულტურული პიროვნება.

ეხლა იანგარიშეთ, რამდენი საათი სჭირდება მასწავლებელს ყველა ამის პირნათლად შესრულებისათვის დღეში? ხუთ დღიურ გაკვეთილზე საჭიროა 3—4 საათი მოსამზადებლად, ახალგაზდა მასწავლებლისათვის უფრო მეტი.

1—2 საათი გადასდე სამეცნიერო წიგნის წასაკითხავად. ამგვარად საერთოდ 11 ან 12 საათი გონებრი[illegible] მუშაობისა—რაც ყოვლად შეუძლ[illegible] [illegible] მაგრამ რა ქნას ბედშავმა მასწავლებელმა, რომ მის უღეს წლობით ეწ[illegible]ვა. კაცი კლდე არ არის. ასეთი შრომა სარისტს უკარგავს კაცს, ენა მეტყველების უნარი ეცლება, ჭკუ[illegible] ეკარგება უნარი სწრაფ და ორგინალურ მოსაზრებისა; ამას გარდა, როდესაც მასში ჩაიხშობა კეთილშობილი ადამიანი, როდესაც მასში მოძრავი მანქანაღა დარჩება, საზოგადოება ნიშნის მიგებით უთითებ[illegible] მასზედ, როგორც უვარგის და მოუმზადებელ მასწავლებელზედ.

ყველასათვის, ვისაც კი სცნობ[illegible] მასწავლებელი პირველ, იმედებით და სპეტაკ იდეალებით სავსე ნაბიჯიდამ, თვალი უდევნებია მისთვის მის გონებრივ და ფიზიკურ დასნეულებამდე, ვისაცკი ჩაუხედნია მის მოკლე, მაგრამ ტრაგიზმით სავსე ისტორიაში—**ყველასათვის აშკარა რომ კარგი და სასურველი მასწავლებლის შენახვა შესაძლოა მხოლოდ მის კლასში სამუშაო ჯაფის შემსუბუქებით და ქონებრივად უზრუნველყოფით.** მიეცით მასწავლებელს საშუალება შეინახოს ადამიანური ძალა, გაშალოს დ გაფურჩქნოს თავისუფლად ეს ძალები და თქვენ ხელთ იქნება უტყუარი საბუთი სკოლის აღორძინებისა, მოსწავლეთა სალად აღზრდისა! ჩვენ დიდი მოლოდინი გვქონდა, რომ კრება ანგარიშს გაუწევდა ამ საკითხს, მეტადრე დღეს, როდესაც სახაზინო გიმნაზიეებმა ასეთი ნაბიჯ[illegible] გადადგეს წინ. უკანასკნელი უეჭველია თავის შედეგს იქონიებ[illegible] თუ არ ჰქონია კიდეც ქართულ გიმნაზიაზედ. ცხოვრების ულმობელ[illegible] მოთხოვნილება აქაც გამოიჩენს თავის სასტიკს ძალას. ეს ძალა მასწავლებლობას მირიყავს იქით, სადაც მეტი იმედი ექნება ცხოვრების კარგად მოწყობისა. რასაკვირველია, შესაძლებელია, აღმოჩდნენ პირნი, სავსენი საზოგადოების წინაშე სამსახურის გრძნობით, და არ შეეპუონ ქონებითს მხარეს. მაგრამ რა ვუყოთ, რომ კანონი მეორე მხრივ მოუვლის. ქონებრივად უზრუნველყოფილი მასწავლებელი, მეტ თავისუფალ დროს მქონე, ადვილად შესძლებს თვალი ადევნოს მეცნიერებას, საქმეს არ ჩამორჩეს, ანახლოს მასალა. რა ქნას მასთან შედარებით ღარიბმა იდეალისტმა, ჯაფისაგან მოხრილმა? აშკარაა ჩამორჩება პირველს. მასწავლებლის ჩამორჩენით ჩამორჩება მოწაფეც, გიმნაზიაც.

ასეთია მწარე სინამდვილე. გულშემატკივარმა უნდა აღნიშნოს ეს ნიშნის მიგებას, გულს აქ ადგილი არ უნდა ჰქონდეს. უნდა ჯეროვანი ყურადღება მიაქციოს ჩვენმა საზოგადოებამ, ნამეტნავად თავად-აზნაურობამ. ნუ ვიტყვით ტყუილს გიმნაზიას ჩვენთვის განსაკუთრებითი მნიშვნელობა ჰქონია და აქვს.

შემცდარია, მეტად ყალბია ის აზრი, თითქოს ჩვენი ცხოვრება ამ გიმნაზიას აღარ საჭიროებდეს. მართალია, ალღო ცხოვრებისა გვეუბნება, ვეცადოთ გავამრავლოთ სულ სხვა ტიპის სკოლები, მაგრამ ვინ იტყვის იმას, რომ დაგვიდგება დრო როდესაც საჭირო არ იქნება ჩვენთვის ჰუმანიტარული სასწავლებელი. წარმოიდგინეთ, დაგვიდგა ხანა—შეგვისრულდა წადილები—აივსო ჩვენი ქვეყანა ნასწავლი აგრონომებით, ინჟენრებით, ტეხნიკოსებით, ეკონომისტებით. მერე? საჭიროება გუმანიტარულად განათლებულ პირთა გაჰქრა? ისტორია არც ერთხელ არა ყოფილა ისეთი სასტიკი კაცობრიობისთვის, რომ მსვლელობის ჩარხი ცხოვრების მარტო მატერიალურ მხრის მოღვაწეთა ხელში ჩაეგდო!

არც დღეს იქნება ასეთი სასტიკი!

**ივერი.**

# ნააზრევი.

1.

**„მამულისათვის თავდადებული".**

თუ ზოგიერთ თანამედროვე მოღვაწეთა მოქმედებას თვალ-ყურს ადევნებთ, გათვალსწინებული გაქვთ მათი „პოლიტიკური პროგრამა" და უმთავრესი მათი სულის-კვეთება, უსათუოდ დამეთანხმებით, რომ მათი მოქმედება მოკლებულია ყოველივე გულწრფელობას, გამბედაობას და, რაც უფრო შესამჩნევი და შესანიშნავია—მათი არსება ყოველთვის გამსჭვალულია რაღაც გამოურკვეველი სენით, რომელიც ბუნდოვან და ორჭოფულ აზრების გავრცელებას ვერ გასცილებია...

წარმოუდგენელი და საშინელია იმ ადამიანის მდგომარეობა, რომელიც სიტყვით ერთს ამბობს, ერთს ღმერთს ემსახურება და მხოლოდ მას უქმევს გუნდრუკს და საქმით კი სულ სხვა რასმეს სჩადის, სხვანაირად მოქმედობს და სულ სხვა რასმე მოგვითხრობს და გვიქადის...

ამგვარ მდგომარეობაში იმყოფებოდა და იმყოფება ეხლაც გაზ. „თემი", „ზაკ. Р." და მათი სულის ჩამდგმელნი.

ორივე გაზეთის სახე და მიმართულება გამოურკვეველი—ბუნდოვანია: დღეს რომ ერთსა სწერენ და ჰქადაგობენ,—ხვალ ამავე აზრების წინააღმდეგ გამოდიან და თვისი ნათქვამი კი სრულებით ავიწყდებათ.

თუმცა ასეთი მოვლენები ძალიან ხშირია ჩვენს ეგრედ წოდებულ პრესაში, მაგრამ ამ უკანასკნელ დროს კი საშინლად გახშირდა და თითქმის ეპიდემიური ხასიათიც კი მიიღო.

ამის მიზეზი კი არჩევნებია: არჩევნებმა გამოიწვია ამგვარი ანორმალიური მოვლენები.

მართალია, არჩევნებმა ბევრი რამ კარგი გვამცნო, შეგვძინა კიდეც, მაგრამ ამასთანავე — ბევრი ისეთი ორპირული, დამახინჯებული აზრების დამცველნი მოგვცა, რომ შეუძლებელი ხდება ასეთ პირებთან კავშირის დაჭერა, მათთან სოლიდარული მოქმედება! თუ ერთის მხრით, არჩევნებმა დაგვანახვა თანამედროვე ქართველების გამოღვიძება, დაგვარწმუნა იმაში, რომ ყოველ ერს, ხალხს აქვს ნება იარსებოს ადამიანურად, მოითხოვოს თვისი ენის, ლიტერატურის, სარწმუნოების, ტერიტორიის შენარჩუნება, მეორეს მხრით, გვაჩვენა მთელი ჩვენი საშინელება, უარყოფითი მხარე, ჩვენი სისუსტე, გაუტანლობა, მოუმზადებლობა, ორპირობა, დღევანდელი ჩვენი არსებობის უსაფუძვლობა და, თუ გნებავთ, უშინაარსობაც.

რითი აიხსნება, მაგალითად, ის მოვლენა, თუ არა უპრინციპობით, მოუმზადებლობით, სიმხდალით და ეროვგვარ პოლიტიკურ მოუმწიფებლობით, რომ „ზაკ. Рѣч." რედაქციამ ქებათა-ქება შეასხა ისეთ ადამიანს, რომელსაც, არა თუ რამე პოლიტიკური მრწამსი აქვს, არამედ ვერც კი წარმოუდგენია თუ სახელმწიფო სათათბირო პოლიტიკური არენაა და არა იმგვარი დაწესებულება, სადაც შეგვიძლიან ვილაპარაკოთ ივანესა და პეტრეს მდგომარეობაზე და მათ სამსახურში მიღების საქმეზე? რითი აიხსნება, ვიმეორებ, ის მოვლენა, რომ „ზაკ. Рѣч." მისწრაფებანი და გულის ზრახვანი ამ პოლიტიკურ ოპორტიუნიზმისაკენ მიილტოდა, რომლის სულის ჩამდგმელად ჩვენში თავი ისახელა თ. ვლ. მიქელაძე და მის მომხრეებმა?

გაიხსენეთ ის განგებ შემუშავებული დეპეშები და წერილები, გაზ. „ზაკ. Рѣч." დასტამბული, და თქვენ დარწმუნდებით თუ რა ნათესაური კავშირი არსებობს ჩვენი დამარცხებული „პროგრესისტის" და რუსულად მოაზროვნე ქართველების მოღვაწეთ შორის. მოიგონეთ აგრეთვე გაზ. „თემში" დაბეჭდილი ბ. აპოლიტიკოსის წერილი, რომელშიაც იგი ჰკიცხავდა „სახალხოელებსა" და „კოლხიდელებს" და თ. ვლ. მიქელაძეს-კი იცავდა.

მოიგონეთ ყველაფერი ეს და თქვენთვის ნათელყოფილი, წარმოდგენილი იქნება თანამედროვე ქართველ ინტელიგენტის სულიერი განცდა-განწყობილება, რომელსაც არავითარი გამორკვეული, დამთავრებული პოლიტიკური რწმენა არა აქვს, რომელიც მოკლებულია გამბედაობასა და ვაჟკაცობას,

ერთი სიტყვით, თქვენს წინაშე გადაიშლება მშვენიერი მხატვრული სურათი, სადაც თქვენ ნათლად დაინახავთ თანამედროვე ქართველ მოღვაწეს, რომელსაც უნდა რაღაცა გააკეთოს, ვითომ გულით-კი შესტკივა თავისი მამულის ასეთ საშინელ და წარმოუდგენელ მდგომარეობით, მაგრამ ძალა და გამბედაობა არ შესწევს საქვეყნოდ გამოაცხადოს თვისი გულის ნადები. სულის კვეთება, და გაუგებრობის და ორჭოფობის მორევში ჩაფლულა

ამისი მიზეზი-კი გახლავთ იგივე უპრინციპობა და უპროგრამო მოქმედება-მოღვაწეობა. ვეღარ გაიგეთ, რა სურს „თემსა" და „თემის" თანამშრომლებს.

თუ „თემის" უკანასკნელ ნომერს დაუჯერებთ, მათ სწადიათ, რომ „მშრომელ ხალხის ერთგულმა ჯგუფმა შეითვისოს ის ეროვნულ—პოლიტიკური იდეალი, რომელიც ასულდგმულებდა ერთს დროს ჩვენ ბ. არჩილ ჯორჯაძეს",—მაგრამ იგი, მიუხედავად ამგვარ აღსარებისა მაინც მესამე დასელების კანდიდატს ამჯობინებს, რომელსაც ყოველი ქართული საქმე, დღევანდელი საქართველოს პოლიტიკური მდგომარეობა იმდენად აინტერესებს, რამდენადაც ყოველ რუს ზომიერს საქართველოს მომავალი და ბედ-იღბალი. „თემს" ვერც ნამდვილი ნაციონალიზმი, დემოკრატიულ საზღვრებში მოქცეული, წარმოუდგენია და შოვინიზმად აღუარებია.

მაგრამ რომელი საკითხი აქვს ამ გაზეთს შესწავლული და გათვალისწინებული, რომ მარტო ამ უკანასკნელ შემთხვევაზე ვილაპარაკოთ?

რომელი პოლიტიკური რწმენა ასულდგმულებს „თემის" თანამშრომლებს?

თუ რამე თვალ-საჩინო იბეჭდებოდა ამ გაზეთში, მას უსათუოდ რედაქციის შენიშვნაც თან მოჰყვებოდა, რომ „ჩვენ ამა და ამ აზრს ჩვენი თანამშრომლისას არ ვიზიარებთო და ამ მოკლე ხანში გამოვსთქვამთ ჩვენს აზრსა"-ო. უცდით შემდეგ ნომერს, თვალ ყურს ადევნებთ დანარჩენსაც და მოუთმენლად ელით მათ აზრსა, მაგრამ ვერ ეღირსებით, რადგანაც არ არსებობს ამგვარი რამ.

გაიხსენეთ, მაგალითად, შარშანდელ ნომრებში დასტამბული წერილები ვიღაც „Ar...mius"-ის ნაციონალურ საკითხის შესახებ და ამასთანავე რედაქციის შენიშვნა, რომ იგი არ ეთანხმება ამ წერილის ავტორს და თქვენ უსათუოდ დამეთანხმებით იმაში, რომ ამ გაზეთს არავითარი გარკვეული აზრი არა აქვს ნაციონალურ საკითხის შესახებ.

შებრალების ღირსნი ვართ ჩვენ, მკითხველნო!.. გვაწვდიან გაზეთს უსახოს, გამოურკვეველ ფიზიონომიით და გვეუბნებიან: „მოგვითმინეთ, ცოტა ხანს გვაცადეთ და ჩვენც გამოვსთქვამთ ჩვენს აზრსა"-ო.

საბრალო მკითხველი, ყველაფერი მას უნდა გადახდეს თავზე.

მე იმის შესახებ აღარაფერს ვამბობ, თუ როგორ უყურებს „თემის" რედაქცია ბ. ნოე ჟორდანიას წერილს, რომელიც დაბეჭდილი იყო ამ გაზეთში, დ. ზ. სარაჯიშვილის გარდაცვალების გამო. ეგ წერილი ხომ ნამდვილი მარქსისტის წერილი იყო, მარქსისტულ თვალსაზრისით შედგენილი.

როგორის თვალით უნდა შეხედოს ამ გაზეთს მომავალმა ისტორიკოსმა, რომელიც მოინდომებს ქართულ აზრთა მსვლელობის ისტორიის შედგენას? აი, ამგვარი ბოლო აქვს ყოველთვის პოლიტიკურ მოუმწიფებლობას და გარკვეულ აზრების უქონლობას.

და სწორედ ამგვარ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე გაზ. „თემი", რომელიც გვიმტკიცებს, რომ ერთად-ერთი შესაფერი დღევანდელ საქართველოს პირობებისათვის—დეპუტატი ის არის, რომელიც ადგილობრივ კანონმდებლობითი თვით-მართველობას დაიცავს სახელმწიფო სათათბიროში და ამ დროსვე იცავს მესამე დასელების კანდიდატურას და მხოლოდ ამაში ჰპოულობს საქართველოს ინტერესების ერთგვარ დამცველსა და მხსნელს...

უფრო სუსტ შთაბეჭდილებას ახდენს ჩვენზე გაზ. „ზაკ. Рѣч." და მათი სულის ჩამდგმელნი, რომელთა პოლიტიკური ფიზიონომია დიდი ხანია გამორკვეულია ქართველ საზოგადოებისათვის, ამ ჯგუფის ბელადმა ბ. პართენ გოთუამ კიდევ შარშან უსირცხვილოდ გაიშიშვლა თავი და შეურთდა რუს მემარჯვენებს ხმოსნების არჩევნების დროს და ამით სამუდამოდ დაჰკარგა ყოველივე პატივის ცემა ქართველ საზოგადოებისა. და რა გასაკვირი იქნებოდა ჩვენთვის, როდესაც ბ. პართენ გოთუა და ძმანი მათნი მხარს დაუჭერდნენ ისეთ ადამიანს, როგორიც არის თავადი ვლ. მიქელაძე?..

ეს გაზეთი თუმცა არც ბ. კიტა აბაშიძის კანდიდატურას იწუნებს, მაგრამ ამასთანავე დასძენს ბ. „ЪЪ-Ж."-ს სიტყვებით, რომ მას, ბ. კიტა აბაშიძეს, უფრო უბრალო ნაციონალ-დემოკრატობა შეჰფერის და არა ის „დროშა", რომელსაც ასე გულმოდგინედ და მედგრად იცავს ბ. არჩილ ჯორჯაძე"-ო. ყოველ სიგლახესთან ერთად „ზაკ. Рѣч."-ელებმა სხვის გულში ფათურიც დაიწყეს თვისი გასვრილი ხელებით, რომელიც შარშან მეგობრულად გაუწოდეს რუს მემარჯვენე ჯგუფს.

ამგვარი „პოლიტიკური" პროგრამით, ასეთი ტენდენციით გამსჭვალულნი გამოდიან დამახინჯებული რუსულად მოაზროვნე ქართველი „მოღვაწენი" და აპირებენ საქართველოს ხსნას ტანჯვა-ვაებიდან.

ერთის მხრით, „თემის" ორჭოფობა, გამოურკვევლობა, ორ სკამზე ჯდომა,—მეორეს მხრით, „ზაკ. Рѣ."-ის საზოგადოებრივ აზრების შელახვა და დამცირება.

როგორც პირველ რწმენის, ისე მეორე მიმართულების აღმოცენების მიზეზი გახლავთ გამორკვეულ პოლიტიკურ რწმენის უქონლობა, უსისტემობა და, თუ გნებავთ, უპრინციპობაც!...

და, როდესაც ჩვენ მიუთითებთ ხოლმე ხელს მათ უციკრობაზე, ისინი ბრაზ მორეულნი გაიძახიან: ჩვენა ვართ ნამდვილი შვილები თანამედროვე ცხოვრებისა და ჩვენ ვშრომობთ ჩვენი სამშობლოს ბედ-იღბალზეთ.

**ისარი.**

# ბალკანეთის ომი

## დეპეშები

### ბულგარეთი.

**სოფია**. ბულგარეთის ჯარმა 5 ოქტომბერს დაიჭირა მარიცის ორივე ნაპირი მუსტაფა-ფაშას მახლობლად. ჯარი ქალაქში შევიდა, სადაც საკმაო სამხარი სურსათი დახვდა. მარიცის ხიდი ოსმალებმა ცოტა დააზიანეს, მაგრამ ბულგარელნი მაინც გავიდნენ. ოსმალებმა სადგური და ტელეგრაფი ხელ-უხლებლივ დასტოვეს. რაზლოვის კაზის სხვა და სხვა სოფლებში ოსმალებმა 400 გლეხი ბულგარი ამოხოცეს. ცეცხლი წაუკიდეს სოფლ მალდობს.

**სტამბოლი**. ადრიანოპოლის ოლქში საშინელი ბრძოლაა. ორივეს მხრივ დიდი ზარალია.

**სოფია**. ბულგარეთის სააგენტო აქარწყლებს ოსმალეთის ცნობებს, ვითომც მათი ჯარი ბულგარეთის ტერიტორიაში შეიჭრაო. ერთ ოსმალოსაც არ გადუდგამს ფეხი ბულგარეთშიო. ბულგარეთის ჯარი ადრიანოპოლისაკენ მიდის.

**სოფია**. ოსმალეთის ესკადრა, 5 ოქტომბერს რომ გამოჩნდა კარნასთან, 7 ოქტომბერსაც გამოჩნდაო. ქალაქს არ უახლოვდება. როგორც გაზეთები იუწყებიან სახელმწიფოებმა მოლაპარაკება დაიწყეს შავის ზღვის ნეიტრალის თაობაზეო.

**სტამბოლი**. გაცხარებული ბრძოლაა ადრიანოპოლის ოლქში. ოსმალები დიდ დანაკლისს განიცდიან.

**სტამბოლი**. გახშირებულია ხმები, რომ ოსმალები სროლის შემდეგ გემიდან ვარნაში ჯარი გადაიყვანეს. ადრიანოპოლთან დიდი ბრძოლა მოხდება. თუ ოსმალები დამარცხდნენ სტამბოლში შესაძლებელია არეულობა მოხდესო. მთავარი ყურადღება ოსმალეთისა ბულგარეთისკენ არის მიქცეული. ომის შედეგი იქ გადასწყდებაო.

**სტამბოლი**. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ ოსმალეთის ჯარი დემერიჩისკენ რომ მიდიოდა, ტუნჯის აღმოსავლეთისკენ წავიდა და ბულგარეთის ჯარს შეეჯახაო. საშინელი ბრძოლაა. თითქოს ოსმალნი იმარჯვებენო. ოსმალეთის დასავლეთის არმიის ჯარი კალიმანჩთან ბულგარეთის ჯარს შეეჯახა. ბრძოლა სწარმოებს. ბულგარელი ხალხი თავს დაეცა კრესნის მახლობლად ოსმალებს, ოსმალებმა გაჰფანტეს ბანდა.

**სოფია**. ბულგარეთის ჯარი ოსმალებზე მიდის. ოსმალები შიშით ზარდაცემულნი უკან იხევენ და სტოვებენ თოფებს, ზარბაზნებს. ბულგარეთის ჯარი უახლოვდება კირკელისს და ადრიანოპოლამდე აღწევს. საზლოვის ოლქში ბულგარებმა დაიჭირეს სოფელი ჯაკორონდა. ჯარის სულის განწყობილება საუცხოვოა. ბულგარები ოსმალების ტყვეებს კარგად ექცევიან.

**სოფია**. ბულგარეთის სააგენტო იტყობინება, რომ ოსმალეთის რამდენიმე გემმა, ადგილობრივ მთავრობას გაუფრთხილებლივ ბულგარეთის ნავთსადგურს, კავრნიეს მოულოდნელად სროლა აუტეხესო, ბულგარეთის სახელმწიფო უკმაყოფილებას გამოუცხადებს ოსმალეთს, რომელიც საერთაშორისო სამართალს ასე მოურიდებლად არღვევს.

### სერბია.

**ბელგრადი**. ოფიციალურ ცნობით ოსმალონი ხანგრძლივ ბრძოლის შემდეგ უკან იხევენ. მესამე არმიამ 9 ოქტომბერს, საღამოს 4 საათზე პრიშტინი აიღო. ადგილობრივ მცხოვრებნი აუწერელი სიხარულით შეჰხვდნენ სერბიის ჯარს. სასტიკი ბრძანება გამოიცა, ჯარმა ყველაფერი ფულით იყიდოსო.

**ბელგრადი**. რაშკიდან იტყობინებიან, რომ 8 ოქტომბერს გენერალ ჟივკოვიჩის რაზმი ჯურჯეკი-სტუპოვოს მონასტერთან საშინელ ბრძოლაში შეება. ხმებია ვითომ სერბიელებმა ეს სიმაგრე აიღესო.

**ბელგრადი**. ოფიციალურად იტყობინებიან, რომ იბარიის რაზმმა ცხარე ბრძოლის შემდეგ ნოვობაზარი აიღო. ოსმალები უკან იხევიან, გზად ყველაფერს ცეცხლსა და მახვილს აძლევენო.

### ჩერნოგორია და საბერძნეთი.

**ათინა**. ცნობის მომტანი რაზმი ბალკანეთიდან წავიდა; მათ თავს დაეცნენ ოსმალები: ორი დაჭრილია. თესალიის ჯარი ელასონიდან სარანდოპორის ლეფელისკენ წავიდა. იქ მტერს შეეჯახა. ბრძოლა სწარმოებს.

**პლავნიცა**. ტარაბოშის სროლა დაიწყო დილით 9 ოქტომბერს და ოთხს საათამდე გასტანა. ნიკოლოზ მეფე რეკაში წავიდა, სადაც მემკვიდრე ინახულა.

**ათინა**. მოვიდა ოთხი კონტრომინოსცი. მოვიდა ფილადელფიდან და კრიტიდან 2 ათასი მოხალისე.

**ათინა**. როგორც ამბობენ, უკანასკნელ ბრძოლის დროს მემკვიდრეს ცხენი მოუკლესო.

**ათინა**. ენე გიულ ბრძოლის შემდეგ მოპირდაპირემ სერვიისკენ დაიხია.

### ომი და სახელმწიფონი.

**სტამბოლი**. ოსმალეთის სახელმწიფომ დიდ სახელმწიფოებს დაუგზავნა ნოტა, სადაც აღუთქვა საბერძნეთის გემების განთავისუფლება. გემები გაჰოვა 11 ოქტომბერს შუადღისას.

**მოსკოვი**. ქალაქის თვით-მმართველობამ გადასწყვიტა სლავიანთ მცხოვრებს შესწიროს 50,000 მანეთი.

**ვენა**. „რეიხს-პოსტს" სკუტარიდან ატყობინებენ, რომ ოსმალეთის ჯარში საკმაოდ სამხრო სურსათი არ არისო. რამდენიმე კათოლიკე მღვდელ—მოლისორი ჩერნოგორიის რაზმში გადავიდა ოსმალებთან საბრძოლველად.

„ალგემეინე-ცეიტუნგი" უპასუხებს საზღვარ-გარეთელ პრესას, რომელიც ავსტრიის შუამავლობას სთავაზობდა ბალკანეთის ტერიტორიის ხელუხლებლობის დაცვისას, თუ ვინიცობაა ბალკანეთის სახელმწიფოებმა გაიმარჯვესო, „ალგემეინე-ცეიტუნგი" ამბობს: „დიდ მადლობას უძღვნით ევროპას ნდობისთვის, მაგრამ მხოლოდ ჩვენ ინტერესებს დავიცავთო. ევროპას ჟანდარმის როლს კი არ ვასრულებთო".

**სტამბოლი**. ინგლისის ელჩმა გამოაცხადა პორტას, რომ ინგლისი ბალკანეთის ომში ნეიტრალს დაიცავსო.

**პარიზი**. საფრანგეთმა ბალკანეთის ომში ნეიტრალი აღიარა.

**პეტერბურგი**. საბერძნეთში წავიდა კრესტოვოზვიჟენის საზოგადოების რაზმი. ორი ექიმით და ექვსი სათნოების დით.

**პეტერბურგი**. პეტერბურგის ქალაქის თვით-მმართველობამ სლავიანთა დასახმარებლად გადასდო 100,000 მან.

## გაზეთებიდან.

### ბულგარეთის მხრით.

**აბდულ-ფაშამ უკან დაიხია.**

ბულგარეთის ჯარი, რომელიც ადრიანოპოლის ასაღებად იძვრის, მდ. მარიცას გაღმა გადავიდა და იერიშით აიღო ძლიერი ციხე—მუსტაფა-ფაშა. ოსმალებმა უკან დაიხიეს დიდი ზარალით. მუსტაფა-ფაშის აღებას დიდ მნიშვნელობას აძლევენ. მუსტაფა-ფაშა პირველი ციხეა ოსმალეთის საზღვარზე.

**კირკილისეს ბრძოლა.**

ლონდონიდან იუწყებიან, რომ ბულგარეთის რაზმი კირკილისეს ახლოს გადავიდა ოსმალეთის საზღვარს. ასე რომ, ამ ჟამად რამდენსამე ადგილს სწარმოებს ბრძოლა.

**ყუმ-ყალეს აღება.**

ბულგარებმა აიღეს ყუმ-ყალე. ადგილობრივი ბულგარები აღფრთოვანებით მიეგებნენ მათ. ოსმალებმა ადრევე დაიხიეს ადრიანოპოლისკენ.

**ოსმალეთის გზების დანგრევა.**

მაკედონიის სლავიანმა მცხოვრებლებმა უსკიუბსა და სალონიკს შუა ასი ვერსის მანძილზე დაანგრიეს რკინის გზა და რამდენიმე ხიდი.

**გენ. ივანოვის იერიში.**

როგორც ირკვევა, ბრძოლა მუსტაფა-ფაშის ახლოს ხანმოკლე ყოფილა. შეტაკების გმირი ყოფილა გენ. ივანოვი, რომელიც ბულგარეთის მოწინავე რაზმს უფროსობდა. მას ორი მხრიდან შეუტევია ოსმალთათვის, რომელთაც უკან დახევის დროს მდ. მარიცის ხიდი აუფეთქებიათ.

**ჯუმაის დაპყრობა.**

ვენიდან იტყობინებიან: ბულგარებმა აიღეს ჯუმაი, ადრიანოპოლის ახლოს.

### სერბიის მხრით.

**სერბიელების პირველი გამარჯვებანი.**

მედარის ახლო ბრძოლაში 293 ოსმალო გასწყდა. სერბიელები ოსმალეთის მიწა-წყალზე გადავიდნენ და მტერს დაედევნენ. შემდეგ აიღეს პოდუევო და დაიკავეს უმთავრესი გზა, რომელსაც მეტად დიდი სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს. 5 ოქტომბერს არნაუტები თავს დაესხნენ პრეპოლასას, მაგრამ სერბიელებმა უკუაგდეს იგინი და პოდუევს იქით გარეკეს. ბილიანოვაცის ახლოს დიდი ხიდი, რომელსაც 500 არნაუტი იცავდა, სერბიელებმა დაიკავეს.

**ბულგარეთ-სერბიის შეერთებული ჯარი.**

ლონდონიდან იუწყებიან: ბულგარეთ-სერბიის შეერთებულმა რაზმმა, რომელიც კუსტენდილიდან გამოვიდა, სასტიკად დაამარცხა ოსმალები.

**ჩერნოგორიის ჯართან შესაერთებლად.**

სერბიის რაზმი ვრანიიდან გამოვიდა და გაჩქარებით გაემართა ჩერნოგორიის რაზმის შესაერთებლად, რომელიც ბერან-ბელოპოლიეს მიდამოებში მოქმედებას.

### ჩერნოგორიის მხრით.

**ბერანის ოლქის შემოერთება.**

ბერანის ციხის აღების შემდეგ ჩერნოგორელებს ხელთ ჩაუვარდათ: 12 საციხოვნო, 6 საველე ჩქარი მსროლელი, 8 სამთო ზარბაზანი, 6 ტყვიისმფრქვეველი და 5000 კაცის სამყოფი სამხედრო სურსათი. ბერანის ოლქი ჩერნოგორიას შეუერთეს, სადაც სამხედრო და სამოქალაქო მართველები დანიშნეს. იქ სრული წესიერებაა.

**ოსმალთა რაზმის განადგურება.**

პოდგორიციდან იტყობინებიან: სახვიმბეი, რომელიც პლავას ახლოს იდგა, 2.000 არნაუტელით გაეშურა ბერანისაკენ ქალაქის დასაბრუნებლად, მაგრამ ჩერნოგორელების საფარს წააწყდა. თითქმის მთელი რაზმი განადგურდა. 280 არნაუტელი ტყვედ ჩაუვარდათ ჩერნოგორელებს.

**სკუტარის ზარბაზანს უშენენ.**

ჩერნოგორელების უმთავრესმა ჯარმა კვლავ განაახლა რამდენიმე დღის წინად შეწყვეტილი ბრძოლა და სკუტარის ზარბაზანს უშენს. მემკვიდრე დანილომ განაცხადა, რომ ქალაქს სულ მოკლე ხანში ავიღებთო.

### საბერძნეთი მხრივ.

**საბერძნეთის ჯარის მოძრაობა.**

საბერძნეთის ჯარი ოსმალეთის საზღვარს გადავიდა. სამი დივიზია ელასონისკენ იძვრის. ერთი რაზმი დამაზით ტირნავოსიდან გამოვიდა და გოლასკენ გაემართა; მეორე—კუცოკიროდან წამოსული, მოლოგუსტიისკენ მიდის; მესამემ მელუნის ქედი გადალახა და ცარიცანისკენ მიილტვის.

**ბრძოლა ელასონთან.**

სტამბოლიდან იუწყებიან: საბერძნეთის საზღვარზე, მელონსა და პულანარ—ტეპეს ახლო, ფიცხელი ბრძოლაა. ბერძნები ელასონს შემოერტყნენ და მოითხოვეს იარაღის დაყრა. მეციხოვნე ჯარმა უარი უთხრა. ელიან იერიშს.

**პრევეზის ალყა.**

ბერლინიდან ცნობაა: საბერძნეთის ფლოტმა ალბანეთის ნავთსადგურ პრევეზის და სანაპიროებს ალყა შემოარტყა.

**ოსმალეთის ტრანსპორტის დატყვევება.**

კონსტანციიდან „ვეჰ. ვრემიას" ატყობინებენ: კორფუს ახლოს ბერძენმა მეამბოხეებმა იერიში მიიტანეს ოსმალეთის სამხედრო ტრანსპორტზე; დაატყვევეს 30 დატვირთული აქლემი, 22 ურემი და 60 ჯარისკაცი.

**ოსმალეთის საომარი ძალა.**

ვრანიისა და კუსტენდილის მხრიდან მოსალოდნელ იერიშის საწინააღმდეგოდ კუმანოვსა და იშტიპში მოგროვილია 75.000 ოსმალო ზექი-ფაშის უფროსობით. კოსოვოს ველზე 4 დივიზია სდგას. ბერანსა და გუსინიეს მიდამოებში ერთი დივიზია მოქმედობს.

**ბულგარეთის სანაპიროების ალყა.**

ოდესიდან იტყობინებიან, რომ ვარნიდან მოსული ცნობით ოსმალეთის ფლოტმა უკვე დაიწყო ბულგარეთის სანაპიროების [illegible]. ერთის ცნობით—ოსმალებს ალყა შემოურტყამთ [illegible] ზარბაზნის სროლა დაუწყიათ. ადესის საკონსულოს აზრით, ეს ცნობები დასაჯერებელი არ არის, რადგან უკანასკნელ შემთხვევაში რუსეთი ნებას არ მისცემს ოსმალეთს შავ ზღვაზე სამხარ მოქმედების გასაჩაღებლადაო.

**ბულგარეთის გემების დაჭერა.**

ბერლინიდან იტყობინებიან, რომ შავ-ზღვაზე ოსმალეთის ჯავშნოსნებმა ბულგარეთის ორი სავაჭრო გემი დაატყვევესო. იქიდანვე ცნობაა, რომ ბურგასის ნავი სადგურს ოსმალეთის ფლოტი ზარბაზანს უშენსო.

**სულთანის საჩუქარი.**

სულთანს ჯარისთვის 20,000 ხაკის ფერი ფესი უჩუქებია.

# მოწერილი ამბები

**სოფ. შუხუთი** (გურია). ბ. მამა დ. იმნაიშვილის მეცადინეობით აქ დაარსდა უფასო სამკითხველო. საქმე ჯერ-ჯერობით კარგად მიმდინარეობს; სამკითხველო დროებით მოთავსებულია ნაქირავებ შენობაში, არჩეულია გამგეობის წევრები, გამოწერილია გაზეთები: „სახალხო" და „თემი", დამზადებულია — სტოლი, სკამები, დაქირავებულია ფოსტის მიმტანმომტანი და სხვა.

სამკითხველოს ჯერ-ჯერობით ცოტა წევრები და თანამშრომლები ჰყავს. დიდი მადლობის ღირსია მამა დ. იმნ.—ლი, გამგეობის წევრები, ამ საქმის მოგვარებისათვის. სამკითხველოს გარშემო აკრავს ათიოდე დუქანი, საიდანაც გამუდმებულად ისმის ქეიფური ლანძღვა-გინება.

**ან—ფარი.**

**სოფ. ვახანი.** (შორაპნის მაზრა). ამ სოფელში არსებობს ერთ კლასიანი სამინისტრო სასწავლებელი, რომელიც მიმდინარე წლის პირველ იანვრიდან ორ კომპლექტიანად გადაკეთდა, ოთხის განყოფილებით. ერთ კლასიანი სკოლები სხვა სოფლებშიაც ბევრგან გადაკეთდა ორ კომპლექტიანად იმ მოსაზრებით, რომ მასწავლებლებს სამ განყოფილებასთან მეცადინობა აღარ მოხდენოდათ და მით საშუალება მისცემოდათ როგორმე ერთ კლასიანი სკოლის პროგრამა სავსებით და წესიერად გაევლოთ. ამ გარემოებამ, როგორც მოსალოდნელი იყო, კარგი ნაყოფი მოიტანა და სწავლების საქმე ბევრად წინ წაიწია. სამწუხაროდ, ზოგიერთი მასწავლებლები, ამ გეგმითაც კი ვერ სარგებლობენ და მეოთხე განყოფილებაში გადიან ორ კლასიან სკოლის მეოთხე განყოფილების კურსს, რაღაც არ არსებულ სკოლის ტიპს ჰქმნიან. ქართული ანდაზისა არ იყოს: „ორი კურდღლის მდევარი ვერც ერთს ვერ დაიჭერს"ო, ვერც ერთი სკოლის პროგრამის გავლას ველარ ასწრობენ ხეირიანად. ამის მაგალითი, სხვათა შორის, ვახანის სკოლაშიაც მოხდა. ამ სკოლის გამგემ ბ-ნმა გოგიავამ ენკენისთვიდანვე დაიწყო მეოთხე განყოფილებაში ორ კლასიან სკოლის პროგრამის პროგრამისგავლა და, ამნაირად, უწესოდ აწარმოებს საქმეს. მისი მოქმედება არც იმ მხრივ არის მოსაწონი, რომ მესამე განყოფილებიდან გოგებაშვილის „რუსკოე სლოვო"-ს მეორე ნაწილი გაუქმებია და „ვოლპერი"-ს მესამე ნაწილი შემოუღია სახელმძღვანელოდ. ბ-ნი გოგიავა, რამდენადაც ვიცნობთ, პატიოსანი და გამოცდილი მასწავლებელია და, გვიკვირს რად მოახდინა ასეთი შეუწყნარებელი შეცდომა.

აქვე უნდა დავსძინო, რომ ზოგიერთ მახლობელ სკოლებში „გუთანი" შემოიღეს სახელმძღვანელოდ, ნაცვლად „ბუნების-კარი"-სა. ხარაგოულის ორ კლასიან სკოლაშიაც „გუთანს" ასწავლიან. სასურველია, ამ სკოლის ზედამხედველი, პატივცემული სერგო რუხაძე, პრესაში აღნიშნავდეს, თუ რა მოსაზრებით შემოიღო „გუთანი". ამის აღნიშვნა და გამორკვევა მით უფრო საჭიროა, რომ ამ სკოლაში სწავლას აგრძელებენ მახლობელი ერთ-კლასიან სკოლებში კურს-დამთავრებული ისეთი მოწაფეები, რომელთაც „ბუნების-კარი" აქვსთ შეძენილი. როდესაც ამ სკოლაში გადადიან „გუთანი" უხდებათ სასყიდლად და, ამნაირად, ორ გვარი ხარჯის გაწევა უხდებათ.

**ისარი.**

**სოფ. ღარიხევი.** (ზელაგორის რაიონი). 30 სექტემბერს მოხდა სოფ. წიფის და სოფ. ბაზალეთის მცხოვრებთა ერთი ნაწილის ყრილობა, რომელსაც დაესწრო ბლაღოჩინი დავით სუხიაშვილი. ბლაღოჩინმა აუწყა ხალხს, რომ ადგილობრივი ეკლესია, რომელიც, უვარგისობისა გამო, გაუქმებულია, უნდა გადაკეთდესო და თან უჩვენა იმერეთის ნაეპისკოპოზარ ლეონიდის მიერ დამტკიცებული გეგმა. ხალხმა მსჯელობა იქონია და უთხრა: ამის თაობაზე წინედაც ბევრჯელ გვქონდა ყრილობა ბლაღოჩინ—დეკანოზ ერმალოზ ვეფხვაძის თაოსნობით, მაგრამ, შეუძლებლობისა გამო, თანხმობა ვერ განვაცხადეთ. ეხლაც გვიჭირს, მაგრამ, რადგან აუცილებელ საჭიროებას მოითხოვს მისი შეკეთება და განახლება, იძულებული ვხდებით თანხმობა განვაცხადოთო. შესაფერი განაჩენი დაადგინეს, ყრილობას დაესწრო დეკანოზი რომანოზ დეკანოსიძე, რომელმაც ხუთი თუმანი შესწირა ამ საქმისათვის. სამი თუმნით დახმარება აღუთქვეს მღვდლებმა კ—ძეებმა, რომლებიც ყრილობას შემთხვევით დაესწრნენ.

შემდეგ გაირჩა საკითხი ადგილობრივ სამინისტრო სკოლის ორკომპლექტიანად გადაკეთებისა. ხალხმა თანხმობა განაცხადა და დაადგინა: ძველი სკოლის შენობა გადაკეთდეს ორ დარბაზად. მასწავლებლების ბინისათვის კი შეიძინოს ოთხ-ოთახიანი ახალი შენობა. ამის განაჩენი უკვე წარუდგინა სამოსწავლო მთავრობას ამ საქმის ინიციატორმა მიხ. დეკანოსიძემ.

ყრილობის გათავების შემდეგ, ბლაღოჩინი და სხვა დამსწრე საპატიო პირები ღარიხევლების მიერ გამართულ საერთო სადილზე მიიწვიეს. რომელიც მიწისმზომელ ბ-ნ ალექსანდრე მინდერაშვილის პატივსაცემად იყო გამართული, რადგან ამ სოფელში მუშაობა დაამთავრა და სხვა სოფელში გადავიდა.

**გვრიტი.**

## სხვა და სხვა ამბავი

**კასოს ახალი ცირკულიარი**

სახალხო განათლების მინისტრმა კასომ თავის მოქმედების ქვაკუთხედად საშუალო სასწავლებლებში კლასიციზმის აღდგენა დასახა. ამ აზრის განსახორციელებლად იგი ჰმოქმედობა და აი ეხლა გამოსცა ახალი ცირკულიარი, რომელიც ძველ დროის მობრუნებას ჰნიშნავს.

კასოს ცირკულიარით, მასწავლებლებმა მთავარი ყურადღება უნდა მიაქციონ იმას, რომ საშუალო სასწავლებლის უფროსი კლასის მოსწავლენი თავისუფლად უნდა ლაპარაკობდნენ ლათინურ ენას ძველი კლასიკების მიხედვით. ამისთვის საჭიროა ხელმეორედ შემოიღონ ლათინურ-ენის წერითი ეგზამენები. აუცილებლად საჭიროა წერითი ეგზამენის ექსტემპერისთვის და მერვე კლასის მოსწავლეებისათვისო. ცირკულიარი ძალაში შევა 1914 წლიდან. ამრიგად განახლდება ძველი ცნობილი „ექსტემპორალია“.

**სტუდენტების აზრი რუსეთის დიპლომატიის თაობაზე.**

6 ოქტომბერს მოსკოვის უნივერსიტეტში დასვენების დროს სტუდენტებმა კრება გამართეს, სადაც რუსეთის დიპლომატიის მოქმედება ბალკანეთის საქმეებში დაჰგმეს.

**ვოსტროგოვის კანდიდატურა.**

დასრულდა არჩევნები სახელმწიფო საბჭოს წევრის ამომრჩეველთა. კანდიდატების სიაში მოხსენებული იყო აგრეთვე ვოსტროგოვი, რომლის გაყვანასაც ცდილობდნენ სახელმწიფო საბჭოში სამღვდელოების მხრივ. მაგრამ უწმინდესმა სინოდმა არ დაამტკიცა მისი კანდიდატურა, რადგანაც მას ამისთვის სათანადო ცენზი არ ჰქონდა.

## დეპეშები

(დეპეშათა პეტერბ. სააგენტო)

11 ოქტომბერი.

**საზღვარ-გარედ**

**ვენა.** 23 ოქტომბერს ბუდაპეშტში დელეგაცია შეიკრიბა.

**რომი.** საფრანგეთმა მიიღო იტალიის განუსაზღვრელი სუვერენიტეტი ლივიაში.

**პიზა.** ბერტჰოლდი, სან-ჯულიანო, ავსტრიის ელჩი რომში და იტალიის ელჩი ვენაში, სან-როსოროში წავიდნენ. მეფემ ინახულა ბერტჰოლდი, რომელმაც ფრანც-იოსების წერილი გადასცა.

**პარიზი.** იტალიამ ოფიციალურად გამოაცხადა იტალიის სუვერენიტეტი ტრიპოლში, ორივე სახელმწიფომ მოლაპარაკება გამართა იტალიის სუვერენიტეტის თაობაზე მაროკოში და საფრანგეთისა ტრიპოლიტანში. მოლაპარაკება ერთ კვირას გასტანს.

**სტამბოლი.** ტრიპოლიტანელი შემსედინ-ნაიში სულთანმა ტრიპოლში იროდედ დანიშნა.

**ბუხარესტი.** ყოფილ პრემიერ კარპმა, კონსერვატიულ პარტიის ლიდერობის უარი სთქვა. კაბინეთის გამოცვლას მოელიან ამ კვირის დამლევს.

**ლონდონი.** საზოგადო პალატა. მოგრედიმ ჰკითხა გრეის, იცის თუ არა, რომ გუბერნატორის თანამდებობა თავრიზში ბუჯა-უდ-დოულეს უკავიაო, რუსეთის გავლენის წყალობითო? გრეიმ უპასუხა, რომ მას საბუთი არ აქვს რუსეთს გადააბრალოს შუჯა-უდ-დოულეს გუბერნატორობაო.

**პიზა.** ბერტჰოლდი, სან-ჯულიანო და ორი ელჩი ფლორენციაში გაემგზავრნენო.

**ლონდონი.** ტოკიაში ელჩად დანიშნეს ველიამ კონინჩემ გრინი.

**ვენა.** დეპუტატების პალატა. სხდომის ბოლოს ჩეხელმა დეპუტატებმა ჩეხელების სკოლების დაკეტვის გამო ვენაში, დემონსტრაცია გამართეს. გარეშე ხალხი! რომელიც სხდომას დაესწრო, მონაწილეობდა დემონსტრაციაში. ასტყდა საშინელი ხმაურობა. კრება დაიხურა.

**კოპენჰაგენი.** მინისტრ-პრეზიდენტმა ბეტინაში ახალი პროექტი შეიტანა, რომელშიაც ქალების საარჩევნო უფლებას ეხება, აქტიური თუ პასიური უფლება ჰქონოდეთ ქალებს არჩევნებშიო. პროექტი საარჩევნო უფლებას ანიჭებს 25 წლის მოქალაქეთ.

**რუსეთი**

**მემკვიდრის ავადმყოფობა.**

**პეტერბურგი.** (ოფიციალური) „პრავიტელსტვენი ვესტნიკში“ დაბეჭდილია ბიულეტენი მემკვიდრის ავადმყოფობისა: „2 ოქტომბერს მის იმპერატორის უდიდებულესობამ მემკვიდრე ცესარევიჩმა შემთხვევით დაიშავა მუცლის შიგნეულობა, რასაც სისხლის დენა მოჰყვა. სიცხე თან და თან ძლიერდებოდა 6 ოქტომბერს მემკვიდრეს ჰქონდა სიცხე დილით 38.8 გრად., შუადღეს—38,9 გრ., საღამოთი 39,0 გრად., 7 ოქტომბერს დილით 38,4 გრ., დღისით—38,8 გრ., საღამოთი 38,8 გრად. 8 ოქტომბერს დილით 37.4 გრ., დღისით 38,5 გრ., საღამოთი 39,4.

**ვენა.** გაზეთები მწუხარებას გამოსთქვამენ მემკვიდრის ავადმყოფობის გამო.

**პეტერბურგი.** ბიულეტენი მემკვიდრის ავადმყოფობისა. 10 ოქტომბერი, დილის ათი საათი. ღამე მემკვიდრემ მშვიდობიანად გაატარა. ტკივილებს არ გრძნობს. სიცხე დილით 37,3 გრადუსია. მაჯის ცემა 134. ხელი მოაწერეს საპატიო ლეიბ-ქირურგი პროფესორი ფეოდოროვი, ლეიბ-მედიკი ბოტკინი, საპატიო ლეიბ-მედიკი ს. ოსტროგორსკი.

**პეტერბურგი.** უწმინდესმა სინოდმა, გაიგო-რა მემკვიდრის ავადმყოფობა გულით შეწუხდა და უბრძანა იმპერიის ყველა ეკლესიებს ილოცონ მემკვიდრის დღეგრძელობისთვის, სანამ სულ მთლად განიკურნება ავადმყოფობისგან.

**გაზეთების დაჭერა.**

**პეტერბურგი.** დაიჭირეს გაზეთი „ლუჩის“ და „პრავდის“ ნომრები.

## უცხოეთი

მას შემდეგ, რაც პრემიერი ლუჩჯსიანი თანამდებობიდან გადააყენეს, მთავრობის და პარლამენტის გამწვავებული ურთიერთობა დაცხრა. მთავრობა შეუდგა რეფორმებისთვის ჩუმ მუშაობას. კაპიტალისტებმა ჩინეთს სესხი მისცეს, რასაც შეუძლიან რესპუბლიკის მოთხოვნილების დაკმაყოფილება, სუნ-იატ-სენუმ, სამხრეთელების ლიდერმა, განიზრახა ჩინეთი რკინის-გზებით დაღაროს; უცხო კაპიტალისტები დიდის სიამოვნებით შეუწყობენ ხელს სუნ-იატ-სენის აზრის განხორციელებას. რაც წინანდელ მთავრობისათვის მოუნდომელი ოცნება იყო, რესპუბლიკის მთავრობა ახორციელებს ამ ოცნებას.

ჩინეთის გაზეთების სიტყვით რესპუბლიკაში დიდი მუშაობა სწარმოებს. ამგვარად რესპუბლიკა ნელ-ნელა იკიდებს ფეხს ჩინეთში და შესძლებს კიდეც ძველი რეჟიმის მთლად დამხობას.

თუმცა საარჩევნო კომპანია ჯერ არ დაწყებულა, მაინც რესპუბლიკა გაფაციცებით ემზადება პარლამენტის არჩევნებისთვის. ყველა პარტია შეუდგა მუშაობას, პროვინციებში თავიანთი აგენტები დაგზავნეს კიდეც. იმედია ნაციონალურმა პარტიამ გაიმარჯვოს, რადგანაც მას სათავეში უდგა ხალხში კარგად ცნობილი რევოლიუციის ბელადი სუნ-იატ-სენი.

**სომხების უმწეო მდგომარეობა მცირე აზიაში.**

გაზეთ „ტიფლის ლისტოკს“ მოჰყავს ოსმალეთის გაზეთში „საბახში“ ამოღებული დეპეშა „საბახე“ სმირიდან სწერენ: „დღეს სომხის ეკლესიაში შეიკრიბა სომხის ხალხის რწმუნებულები განურჩევლად კლასისა და წოდებისა. მათ ჰქონდათ თათბირი ოსმალეთის იმპერიაში სომხების აუტანელ მდგომარეობის გამო. მოყვანილია ეს ცნობები გაზეთებიდან ანატოლიის ვილაიეტებში მომხდარ სომხების მკვლელობისა, თავზე დაცემისა და გაძარცვისა. გაითვალისწინეს რა ეს წამების ისტორია, ისტორია განუწყვეტელი ტანჯვისა კრებამ შემდეგი დაასკვნა: ადგილობრივი მოხელენი ყურადღებას არ აქცევენ სომხების ხოცვა-ჟლეტას და მშვიდობიან მცხოვრებთ უზრუნველ არ ჰყოფენ, რომ აბდულ-ჰამიდის დროის ამბები, მთელი კაცობრიობა რომ შეაძრწუნა. დღეს თუ არ გამეორდება რადგანაც მოხელენი სომხების ხოცვისთვისთვის პასუხის გებაში არ აძლევენ დამნაშავეებს, ხოცვა-ჟლეტა დღითი-დღე მატულობს და შესაძლებელი არის დადგეს ისეთი დრო, როდესაც ეს ველურობა და ურიგობა ოსმალეთის სახელმწიფოში ჩვეულებრივ მოვლენად გადაიქცეს. კონსტიტუციონალურ წეს-წყობილებას, როგორსაც წარმოადგენს ოსმალეთი, არ შეეფერება სდევნოს და აწამოს ისეთი ხალხი, რომელმაც 300 ათასი კაცი შესწირა პოლიტიკურ თავისუფლებას. ეხლა კი ეს ხალხი უფლება აყრილია და მიწასთან გათანასწორებული.

სირცხვილია მთელი სახელმწიფოსთვის ის ვერაგობა და მხეცობა, რაც დღეს ოსმალეთში ხდება. ეს ამბავი უნდა ფრიად აღონებდეს და საშინელ ტკივილს უნდა იწვევდეს ყოველ ოტომანიის გულში ვისაც კი კაცთმოყვარე და სათნოიანი გული აქვს. ეს ამბავი მთელ სომხობას საშინელ განცდათა შორის აგდებს და აუტანელ ტანჯვაში სწვავს. სამინისტროში, რომელიც მალი-მალ იცვლებოდნენ, წესრიგის დამყარებას გვპირდებოდნენ, მაგრამ ყველა ამაო იყო. ეხლა ჩვენ გაბედულად მოვთხოვთ ოსმალეთის მთავრობას, თუ საკონსტიტუციო უფლებებს არ გვანიჭებს, მოგვცეს ჩვენ საშუალება ცხოვრებისა, დაიცვას ჩვენი პატივი და უზრუნველჰყოს ჩვენი ქონება, რასაც 15 წ. წინად დაგვპირდა მთელ ქვეყნიერების წინაშე. თუ მთავრობა ამის უნარსაც ვერ გამოიჩენს, მაშინ მიიღოს ზომები საბრალო სომხის სიცოცხლის დაცვისა. მთავრობა თავისავე კანონებსაც არღვევს, ეს ცოტაა: იგი არღვევს ისლამის კანონებსაც ყურანის მუსულმანურ სახელმწიფოს ავალებს სათნოებით მოექცნენ ქრისტიან მცხოვრებსო, დღეს კი ოსმალეთში ქრისტიანთა სისხლი იღვრება!

ხელს აწერენ დეპეშას სომხების წარმომადგენლები: ტიგრან ამინიან, პარსინ კიულბენიან და ვაგან ბალაბანიან.

## თეატრი და ხელოვნება

**ქართული თეატრი.** კვირას, 14 ოქტომბერს ვლ. ალექსი-მესხიშვილის რეჟისორობით ქართული დრამატიული დასი დასდგავს ცნობილ პიესას „კინი“. კინის როლს ვლ. მესხიშვილი შეასრულებს.

**სახაზინო თეატრი.** დღეს, 12 ოქტომბერს, ბ-ნ ივ. ფალიაშვილის ხელმძღვანელობით საოპერო ამხანაგობა დასდგავს ოპერას „პაიაცი“-სა და „იოლოდას“. კვირას, 14 ოქტომბერს, დასდგამენ დილით, დაკლებულის ფასებით ოპერას „სეველიელი დალაქი“.

**სახალხო თეატრი.** 13 ოქტომბერს, ქართულ სახალხ. წარმ. მმართვ. წრის მიერ წარმოდგენილი იქნება ნ. ვ. გოგოლის უკვდავი კომედია „რევიზორი“ 5 მოქ. პიესას სდგამს რეჟისორი ალ. წუწუნავა და დაცული იქნება მოსკოვის სამხატვრო თეატრის მიზან სცენები. მონაწილეობას მიიღებს სცენის მოყვარეთა მთელი დასი. ადგილების ფასი სახალხოა.

**ქუთაისი.** კვირას, 14 ოქტომბერს, ქუთაისის დრამატიული დასი პირველად სდგამს ბატაილის ცნობილ პიესას „უცნობი“ (თარგმანი ნარიკაშვილისა) ეს პიესა შარშან დასდგეს ქართულ თეატრში და დიდი შთაბეჭდილება მოახდინა.

**ბაქო.** აქაურმა დრამატიულმა სექციამ 7 ოქტომბერს დასდგა კომედია—ფარსი „ალიაქოთი კეთილშობილ ოჯახში“ და ვოდევილი „უბედური დღე“. ამ საღამომ დაგვიმტკიცა, რომ ჩვენ სცენის მოყვარეებს კომედიის წარმოდგენა ბევრად უფრო ეხერხებათ, ვიდრე დრამისა. მთელი საღამო განუწყვეტელი სიცილი ისმოდა. მოთამაშენი მრავალჯერ დააჯილდოვეს ტაშით.

ზოგიერთნი საყვედურებს აცხადებდნენ, — ჰკუის სასწავლებელი არაფერია ამ პიესაშიო. ზოგჯერ „ჰკუის სწავლებას“ კარგი სიცილი და მხიარულება სჯობია. ასეთი სიცილი სულსაც არგებს და ხორცსაც.

მოთამაშენი კარგად მომზადებულიყვნენ. სჩანდა რეჟისორის ხელი. აღარც ჩვეულებრივი პაუზები იყო.

შემდეგი წარმოდგენა 20 ოქტომბერს იქნება. დასდგამენ ირეთელის „დამარცხებულნი“-ს.

**ჭიათურა.** ამ მოკლე ხანში განსვენებულ დ. ბურჭულაძის ხსოვნის პატივსაცემად ადგილობრივი წრე აპირებს დასდგას მისი 4 მოქ. დრამა „მაღაროს მუშა“ სალიტერატურო განყოფილებით.

**რედაქტორ-გამომცემელი ნ. კურდღელაშვილი.**

## განცხადებანი


**№ 4711**

**სქელი პუდრი**

კანს ხავერდ სავით ანაზებს და ალამაზებს

ფერდ. **მიულჰენსი**

**კოლოფი 30 კაპ.** ✦ **პარფიუმერია № 4711**

მისი იმპერატ. უდიდ. სახაზინის იჯარადარი.




Медаль 309266 309286

1434.

**სასანიტარო ექიმები**

**უბნები:** 1, 2—9 **პ. ფომინა-ოსიპოვისა** (ვაკეში, საკუთარი სახლი, ტელეფ. 461).

მე-4 და რუსის ბაზარში **ქრ. ლ. ქალანთაროვი** (სოლოლაკი, ამაღლების ქ. 8, 517).

5—6 **ი. ზაბლუდოვსკი** (გრიბოედოვსკი, 10. ტელ, 645).

10, 11—12 **ვ. ა. მირაქოვი** (მიხეილის ქ., 174 ტელ. 327).

7—8 **გ. თ. ნათიშვილი** (ვორონცოვის ძეგლთან, მონუმენტნი შესახვ. 5. ტელ. 487).

სასურველია, თვითონ მცხოვრებლები დაგვეხმარებოდნენ სასანიტარო წესიერების შემოღებაში და სადაც-კი ამ მხრივ უწესობას შეჰნიშნავენ—სახლებში თუ სხვა ადგილებში სასანიტარო მოთხოვნილებათ არღვევენ, ცუდს საჭმელ-სასმელს აკეთებენ და ჰყიდიან და სხ.—დაუყონებლივ ზემოდ დასახელებულ ექიმებს აცნობონ, წერილობითი განცხადებები ყველას შეუძლიან გარდასცეს ქალაქის სავაჭრო პოლიციის კანტორებში: ვერის მოედანზე, რუსის ბაზარში, თათრის მოედანზე, კახეთის მოედანზე, ავლაბარში რიყის ქუჩაზე, 54, ელისაბედის ქუჩა 56 და მალაკნის მოედანზე.

**უფასო საექიმო დახმარება**

**ქალაქის საბჭოს ექიმები.**

უბნები

1—2 **გ. ა. გედევანი** (სდგას ვერაზე, ოლგის ქუჩა, 22. ტელეფ. 592).

3—4 **მ. ი. შავერდოვი** (ფეთხაინის აღმართზე, 1, ტელ. 619).

5—6 **ტ. მ. თათეოსიანი** (ველიამინოვის, 4, ტელეფ. 680).

6—7 **შ. ა. მიქელაძე** (ავლაბარში, კახეთის ქ, 1, ტელ. 715).

8—9 **ნ. დ. ხატისოვი** (კუკიაში, ნიკოლოზოვის ქ. 7, ტელ. 715).

10, 11—12 **ა. ი. შჩერბინინისა** (დიდუბეში, საგურამოს ქ. 5. ტელეფ. 71.

**ქალაქის საავადმყოფოები**

**მთავარი**—მუხრანის ქუჩა, 9.

**ავლაბრისა**—კახეთის ქ. № 15.

**ხარფუხისა**—ვორონცოვის ქ. 55.

**კუკიისა**—ჩერქეზიშვილისა, 1—18.

**დიდუბისა**—საგურამოს ქ. 5.

ქალაქის საბჭოს ექიმები მოვალენი არიან ღარიბ მცხოვრებთ უფასო საექიმო დახმარება აღმოუჩინონ ქალაქის საავადმყოფოებში და თვითონ ავადმყოფის ბინაზედაც ყოველმა თავ-თავის უბანში), თუ უბრალო ექიმი დილის 11 საათამდე მოიწვიეს, ვალდებულია იმ დღესვე ინახულოს ავადმყოფი, გარდა საჭირო შემთხვევებისა, როცა დახმარება დაუყოვნებლივ უნდა მისცეს.

**გემების მიმოსვლა**

**საზაფხულო შავზღვასა და კასპიის ზღვაზე**

რუსეთის სავაჭრო-სანაოსნო ამხანაგობისა

**ბათომიდან გადის:**

1 **ირგვლივ მოსიარულე**, სამშაბათ ღამე 12 ს. 30 წ. ყველა ნავთსადგურებში შეივლის, 2 **ირგვლივ მოსიარულე** ხუთშაბათს ღამის 12½ ს. პირდაპირი ბათომ-ყირიმისა, შაბათ ღამ 12½ საათზე გაუვლის სოხუმს, გაგრას, სოჩას, ტუაპსეს, ნოვოროსიისკს, ფეოდოსიას, იალტას, სევასტოპოლსა და ევპატორიას.

**სამგზავრ. გემები ყველა ნავთსადგურში შემვლელი** ორშაბათობით 12 ს. დღისით და შაბათობით დღის 12 საათზე. დაწვრილებითი ცნობანი შეიძლება მიიღოთ **ტფილისში** ველიამინოვის ქუჩაზე № 18. **ტელეფონი № 11.** იქვე იყიდება სამგზავრო ბილეთები და საქონელი, ბარგის ჩაბარება და დაზღვევა იქ შეიძლება.

**სანავოსნო ამხანაგობა კავკაზი და „მერკური“**

**ბაქოდან გადის:**

**ასტრახნისკენ** კვირაობით, ორშაბათობით, სამშაბათობით, ხუთშაბათობით, პარასკევობით და შაბათობით შუადღის 12½ ს.

**კრასნოვოდსკში** ყოველდღე საღ. 8 საათ.

**ასტრაში** ხუთშაბათობით საღამოს 6 საათ.

**ლენქორანში** ორშაბათობით საღ. 6 საათ

**ენზელში** (პირდაპირი ჩქარი) სამშაბათობითა და პარასკევობით საღამოს 6 საათზე.

**კრასნოვოდსკსა, ჩიკიშლიარსა, ასტრაბადსა, მეშედესერს** ხუთშაბათობით საღამოს 8 საათზე.

**მტკვრისაკენ** კვირაობით, სამშაბათობით ხუთშაბათობით და პარასკეობით საღამოს 6 საათზე.

**ბაქოში მოდის:**

**ასტრახნიდან** ყოველდღე საღ. 8 საათზე.

**კრასნოვოდსკიდან** ყოველდღე დილის ს. 45 წ.

**ასტარიდან** ხუთშაბათობით საღ. 6 საათ.

**ლენქორანიდან** ხუთშაბ. დილის 8 საათ.

**ენზელიდან** (პირდაპირი და ჩქარი) პარასკევობითა და ორშაბათობით დილ. 11 ს.

**მეშედერესიდან, ასტრაბადიდან, ჩიკიშლიარიდან** და **კრასნოვოდსკიდან** სამშაბათობით დილის 6 ს. 45 წ.

ყოველგვარი ცნობანი, რკინის გზის ბილეთი და პლაცკარტები საქონლის გაგზავნისა თუ დაზღვევის საქმე იკითხეთ **ტფილისში** ერევნის მოედანზე № 3. „**კავკაზ ი მერკური**“ ტელ. 82.

**სამკურნალო**

**ექიმთა საზოგადოებისა**

**მუდმივის საწოლებით.**

**გადავიდა ახალ ბინაზე**

მიხეილის ქუჩა, № 49 და რეუტოვის მისახვევი № 2. ტელეფონი № 1026.

**ავადმყოფებს იღებენ:**

**ალაჯანოვი მიხ.**—საშარდე ორგანოთა, ათაშანგისა და კანის სნეულებისა—ნაშუად. 12—1 ს.

**ვნუკოვი მ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. ნაშუად. 1—2 საათამდე.

**ეგიაზაროვი ი. ნ.**—შინაგან, ნევრევებისა სულით-ავადმყ. ელექტროტერაპატია დილ. 11—12 საათამდე.

**კიმონტი გ. პ.**—ქირურგიულ სნეულ. დილის 11—12 საათამდე.

**მაგაკიანი გ. ნ.**—შინაგან სნეულებ. და ბავშვების ავადმყ. დილ. 11½—12½ სათ.

**შამაში ი. ი.**—ქირურგიულ ავადმყ. 1½—1 საათამდე.

**ბეილიოვისა ა. ა.**—კბილის ავადმყ. 9½—11½ საათ.

სამკურნალოში სწამლობენ ელექტრონითა და მასაჟით. ახდენენ გამოკვლევას მიკროსკოპიულ, ბაქტერიოლოგიურსა და ქიმიურს. ყვავილს უცრიან. ძიძებს ამოწმებენ. რჩევის ფასი ათი შაური. ოპერაციები და კონსულტაცია მორიგებით.

სამკურნალოს სტაციონალური განყოფილება შესდგება საზოგადო პალატისა და ცალკე ნომრებისაგან.

**წამლობა „606“-ით და 914.** 1513

**ექიმ ნავასარდიანის პირველი ქერძო სამკურნალო**

დაარსებულია 1880 წელს.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

**ავადმყოფების მიღება ყოველ დღე გარდა კვირისა.**

**დილით:**

**„606“ — 11—12 ს. შეხაპუნება კონსულტატიურად.**

**ბ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგიული, და ვენერიული (სიფილ.) ავად.

**ბ. გ. აგასაროვი:** 1—2 ს. შინაგანი ბავშვთა ავადმყ.

**კ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგანი და ნერვებისა.

**ზ. ი. ბაბანასოვი:** 10—11 ს. საბებიო ქალებისა და ბავშვებისა,

**ნ. ტ. მულინი:** 10—12 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**მ. გ. აველისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ., საშ. და ქირურგ.

**გ. ი. გურგენოვი:** 12—1 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვებისა.

**ა. პ. კარაპეტიანცი:** 12—1 ს. შინაგანი საბავშვო და ყვავილის აცრა.

ექიმი ქალი **ე. ნ. ამბრუმოვა-მელ ქიანი** 1—2 ს. საბებიო დ. ქალების ავადმ.

**საღამოთი:**

**მ. გ. აველისიანცი:** 6—7 საათ.

რჩევა-დარიგება 50 კაპ. ხელმოკლეთა ვის უფასოდ, კონსულტაციები და ოპერაციები მორიგებით.

სამკურნალოს დირექტორი მედიცინის 1078 დოქტორი **ბ. ა. ნ. ვასარდიანი.**

**სამშობიარო თავშესაფარი თუხარელისა,**

გოლოვინის პროსპექტისა და გრიბოედოვის ქუჩის ქიმში, **№ 34**, ფეოდოსიის ეკლესიის გასწვრივ. იღებენ ფეხმძიმე და მშობიარე ქალებს დღე და ღამ ყოველ დროს. ცალკე ნომრებიც არის ხელმისაწვდომ ფასებში და საზოგადოც. ორ-საწოლიანი ოთახი 2 მან. და მომშობიარებისათვის 6 მან. არის საზოგადო ოთახში ხელმისაწვდომ ფასში, დღე-ღამე 1 მან. იღებენ დედათა ავადმყოფობით სნეულთა და საბებიოს საქმისათვის. ძიძებსა დ. ქოახლეებს ყოველ დღე, დილის 1—12 ს.-მდე) მოწმებს. თავშესაფარის გამგე ექიმი **მ. გ. მი კირტუმოვი.** 1037.

**ფეხსაცმელები**

**თომა დ. ჯანყარაშვილის**

**მაღაზია-სახელოსნოში.**

მუხრანის ქ. № 2.

ყოველ ნაირი: საკუთარი და პეტერბ. მეხანიკური ნაწარმოები.



683.

**ვკისრულობ:**

1. დაგირავებას და გადაგირავებას ... მამულებისას როგორც ქალაქებში, აგრეთვე სოფლებში.

2. უძრავ ქონებათა სყიდვა-გაყიდვას.

3. მადნეულობის გამოკვლევას და ...შავებას.

4. ყოველგვარ არზების და პირობის ქაღალდის შედგენას.

5. ხე-ტყის მასალის მსყიდველის და ...ყიდველის შოვნას. მთხოვნელებს ვიღებ ყოველ დღე გარდა კვირისა და უქმე დღისა, დილის თერთმეტის ნახევრიდან 12 საათამდე და საღამოთი ექვსიდან 7 ს.-მდე. **ბინა: ქ. ტფილისი, გოლ. პროსპ.**, სახლი **მანთაშევისა**, სასტუმრო „უნივერსალი“, № ?, ტელეფონი № 499 **იოსებ კირილეს ძე რაზმაძე** 1496

✦ **გამოსულია და იყიდება** ✦

**ნ. შიუკაშვილის**

**პიესა „მეგობრობა“,** დრამა 4 მოქმედებ. ფასი 30 კაპ.

**გამოსულია და იყიდება**

**ი. გედევანიშვილის პიესა**

**„გამცემი“**

დრამა 3 მოქმედ. ფასი 25 კ.

**მიიღეთ საუკეთესო გემოვნების მარცვლოვანი, მეტის ხიზილალა.**

**თევზის მრეწველნი**

**ძმ. ძებველოვები.**

**პუშკინის ქ., საკუთარი ს. № 9.**

**ტელეფონი № 712.**

1131

**ქერჩი კაპჩიონი სელიოტკები,** და ყოველგვარი **კონსერვები.**

მოგვდის მუდამ დღე საკუთარი ბათაგებიდან ახალი თევზი, ხიზილალა, (ქიტკა), ორაგული, თართი, ტარაღანა, ლოქო და სხვა. და აგრეთვე იყიდება მაღაზიაში ყოველ დროს **მოხარშული დოშები, ზურგიელები** და ყოველგვარი **შავი ხიზილალა.**


ტფილისი, მუხრანის ქუჩა, № 12 სტამბა „შრომა“.